# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 1 მარტი 2008 №046 (3270) ფასი 50 თეთრი


# ცხრილს ვისი თავი აქვს თუ ვის რისი თავი აქვს?

## დღეს მზე ვაკეში გამოანათებს



ტურის მთავარი მატჩი „სიონი" — „დინამო"



### კობიაშვილი აქ რომ არ იყოს, გავგიჟდებოდი

ინტერვიუ ლევან ყენიასთან

2



### ჩელსის ბ(ე)რძნული გადაწყვეტილება

უფრთხილდით რაიკარდის ქმაკაცს!

7



### დუბაიში ენინი დაში(ავო)ნდა

ჩოგბურთმა ფავორიტები ჩამოწერა

16

# 9 000 000: ხელფასების გამოფენა



„დაჩაგრული" დევიდ ბექემი–

### პრემიერლიგასთან შედარებით სერია A ძალიან ღარიბია

მსოფლიო ფეხბურთში ხელფასები საარაკო ზღვარს კარგა ხანია, გადასცდა. წავიდა ის დრო, კვირაში რამდენიმე ათეული გირვანქა კარგი ფული რომ იყო. მაგრამ ისიც საკითხავია, ვისთვის რამდენია კარგი ხელფასი და ამ კითხვას თუ ჩავუღრმავდებით, ძალიან ფილოსოფიური ლაპარაკი გამოგვივა. და რამდენია კარგი ხელფასი საქართველოში? არც ისე ბევრი, თორემ ჩვენი ფეხბურთელები აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ლიგებში როგორ გაიქცეოდნენ...

### დევიდ ბექემი ათეულშიც ვერ მოხვდა



–და ყველაზე დიდხელფასიანი კაკა

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 16-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელობა გიორგი დევდარიანს შესთავაზა, ვინც საფეხბურთო სკოლა „საბურთალოში“ მუშაობს. ფეხბურთის ქომაგმა დევდარიანი ოთხი წლის წინ გაიცნო, როცა „თბილისს“ წვრთნიდა და არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გამოაჩინა. ახლა ის „საბურთალოს“ სკოლაში 1992-93 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს წვრთნის. ცნობისთვის, ამ გუნდიდან 11 ფეხუბრთელი ასაკობრივ ნაკრებებში თამაშობს და ალბათ ფეხბურთის ფედერაციამ დევდარიანთან თანამშრომლობაც ამიტომ გადაწყვიტა. გუშინ გიორგი დევდარიანს „საბურთალოს“ სკოლაში ვესტუმრეთ...


ვალერი კოტოლაძის ფოტო

# კონტრაქტი მომავალ კვირაში გაირკვევა

## გიორგი დევდარიანი: ვიმუშავებ, ოღონდ ხელს ნუ შემიშლით

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ჩემთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა.

— როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამბობენ, 16-წლამდელთა ნაკრებს კურირებას გელა შეყილაძე გაუწევს, რომელიც ახლახან დაინიშნა 17-წლამდელთა მწვრთნელად. ეს თქვენთვის რამდენად მისაღებია?

— მე ნებისმიერ ადამიანთან ვითანამშრომლებ, რომელიც ჩემი იდეების განხორციელებას ხელს არ შეუშლის.

— კონტრაქტს როდის გააფორმებთ?

— ჯერ რაღაც დეტალები შესათანხმებელია, მომავალ კვირაში შევხვდებით და ყველაფერს გავარკვევთ.

— საფეხბურთო კლუბ „საბურთალოში“ გააგრძელებთ მუშაობას თუ მხოლოდ ნაკრებში დაკავდებით?

— „საბურთალოსთან“ სამწლიანი კონტრაქტი მაკავშირებს და გაწყვეტას არ ვაპირებ. ამ სკოლასთან ერთად შორეული გეგმები მაქვს. მე ვესაუბრე სკოლის ხელძღვანელობას და ისინი წინააღმდეგები არ იქნებიან, ნაკრებშიც ვიმუშაო.

— 1992-93 წლებში დაბადებულ ბავშვებთან რამდენი ხანია, რაც მუშაობთ?

— სანამ „თბილისის“ მწვრთნელი გავხდებოდი, „ოლიმპის“ საფეხბურთო სკოლაში ამ ასაკის ბავშვებს ვწვრთნიდით მე, თემურ ფოცხვერია და გურამ ჩომახიძე. „თბილისის“ მწვრთნელი რომ გავხდი, ამ ბავშვების წვრთნა ფოცხვერიამ და ჩომახიძემ გააგრძელეს. შემდეგ საფეხბურთო სკოლა „საბურთალო“ შექმნა ტარიელ ხეჩიკაშვილმა და „ოლიმპთან“ შეთანხმებით, ეს მწვრთნელ-ფეხბურთელები „საბურთალოში“ გადმოვიდნენ და წელიწადნახევარია, აქ ვმუშაობ.

— ეს გუნდი ჭაბუკთა ლიგაში გამოდის...

— 1992-წლიანებში ვთამაშობთ, თუმც გუნდში ძირითადად 1993 წელს დაბადებულები არიან და მეორე ადგილზე ვართ.

— როგორი პირობები გაქვთ?

— ხეჩიკაშვილის ხელშეწყობით, ყველა პირობაა შექმნილი სამუშაოდ. ამ წელიწადნახევრის განმავლობაში ექვსი შეკრება გავიარეთ, ხუთი საქართველოში, ერთი თურქეთში. ჩვენ რამდენიმე ბავშვი რაიონებიდან ჩამოვიყვანეთ, მათ საცხოვრებლით და კვებით კლუბი უზრუნველჰყოფს. ბავშვებს ხელფასებიც აქვთ და თავს კარგად გრძნობენ. ასეთი მუშაობის შედეგია, რომ ჩვენი გუნდიდან ასაკობრივ ნაკრებებში ბევრი ფეხბურთელი თამაშობს.

— საქართველოს და ლიტვის ნაკრებების შეხვედრისას ტრიბუნაზე შეგნიშნეთ — „საბურთალო“ გყავდათ შემოკრებილი და რჩევადარიგებებს აძლევდით...

— ტრიბუნიდან კარგად ჩანს საფეხბურთო გეომეტრიის პრინციპები. ყველაფერი ხელისგულივითაა და ხედავ შეცდომებს და სწორად გათამაშებულ კომბინაციებსაც.

— „საბურთალოს“ თავისი სტადიონი არ გააჩნია და ამ მხრივ რა პერსპექტივებია?

— მალე სამედიცინო ინსტიტუტთან მდებარე მოედანზე დაიწყება რეკონსტრუქცია. სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედანი გაკეთდება თავისი ტრიბუნებით.

— რას იტყვით მომავალ თაობაზე — ნიჭიერები მოდიან?

— საქართველოში ყველა თაობა ნიჭიერია, მთავარია, როგორ გზას მივცემთ. ათასი პრობლემაა. აუცილებლად უნდა დაიწყოს საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება. მჯერა, ქვეყანა მალე ფეხზე დადგება და ამის პრობლემაც აღარ გვექნება. მერე ნახეთ, რამდენი ლევან ყენია, ლევან მჭედლიძე და დავით დევდარიანი გაიზრდება.

**ნუკრი ლოლაძე**

რაც ლევან ყენია მივიდა, „შალკეს“ 19-წლამდელთა გუნდი თითქმის შეუჩერებელი გახდა. პირველი წრე JUGEND-SCHALKE-მ მეოთხე ადგილზე დაასრულა. მაგრამ ყენიასთან ერთად ჯერ 3:0, შემდეგ 8:2 მოიგო და წინა კვირას „ბოხუმთან“ 2:2 ითამაშა. ყველანი ველით, როდის გადავა 17 წლის ქართველი „ხუმარათა“ ძირითად გუნდში — ისე კი, შეგახსენებთ, რომ ეს 18 ოქტომბრის შემდეგ მოხდება, როცა ლევანს 18 წელი შეუსრულდება. ყენიას საქართველო — ლატვიის მატჩზეც ვკითხეთ, თუმც თავიდან, ცხადია, გელზენკირხენული ამბებით დავიწყეთ...



# ლევან ყენია: კობიაშვილი აქ რომ არ იყოს, გავგიჟდებოდი

## იმედია, ლატვია აღარ იქნება

— სამშაბათს „შალკეს“ ძირითადმა გუნდმა ამხანაგურ მატჩში მოსკოვის „დინამოს“ 5:0 მოუგო. შენ გქონდა თამაშის უფლება?

— კი და იყო კიდეც ლაპარაკი, რომ მეთამაშა, მაგრამ გუნდის მწვრთნელმა გადაწყვიტა, მაინც გამოცდილი ფეხბურთელები დაეყენებინა. ცოტა გული დამწყდა, თუმც არა უშავს, ამასაც მოვესწრები.

— ისე, როგორ შეეწყვე „შალკეს“ 19-წლამდელებს, დაუმეგობრდი თანაგუნდელებს?

— აი, ეგ ცოტა მიჭირს. მაინც სხვანაირები არიან გერმანელები, საქართველოში ამას არ ვიყავი მიჩვეული. ჩვენთან რომ ყველანი ერთად ვართ, გერმანიაში...

— ურთიერთობაში ცივები არიან?

— კი. ჩემ გარდა, მხოლოდ ერთია არაგერმანელი, პერუელი სამბრანო — ფეხბურთელიც ძალიან ნიჭიერია და მეგობრობაც სხვანაირი იცის. მასთან ახლოს ვარ.

— შურს ხომ არ ატყობ თანაგუნდელებს?

— რომ ჩამოვედი, ეგ ვიგრძენი, მაგრამ ახლა ასე აღარ არის.

— ენის პრობლემა? ისევ სკოლაში დადიხარ?

— ნელ-ნელა ვსწავლობ, რაღაცრაღაცები მესმის და ცოტას ვლაპარაკობ კიდეც. სკოლაში დავდივარ — სანამ სეზონი დამთავრდება, ვივლი.

— ლევან კობიაშვილთან ხშირად ხარ ხოლმე?

— მართალია, კობიაშვილი დიუსელდორფში ცხოვრობს, მე კი „შალკეს“ ბაზაზე, მაგრამ ხშირად ვახერხებთ ერთმანეთის ნახვას. ლევანი რომ არ იყოს აქ, ალბათ გავგიჟდებოდი — უცხოდ ვიქნებოდი ძალიან.

— ისე, შენი მისვლა მაგრად დაეტყო „შალკეს“ 19-წლამდელებს. ბუნდესლიგის სამ თამაშში გოლი არ გაგიტანია, მაგრამ საგოლე პასები საკმაოდ ჩამოარიგე...

— მწვრთნელი კარგად მეპყრობა — მინდორზე თავისუფლებას მაძლევს. ბოლო ტურში „ბოხუმთანაც“ კარგი საგოლე პასი გამომივიდა.

— როგორც ვიცით, „შალკეს“ ხელმძღვანელობა მუდმივად ესწრება თქვენს თამაშებს...

— კლუბის მენეჯერი ანდრეას მიულერი თამაშს არ აცდენს. მწვრთნელი მირკო სლომკაც მოდის. ცხადია, მეც და ჩემს თანაგუნდელებსაც გვსიამოვნებს, რომ ყურადღებას გვაქცევენ.

— დავით თარგამაძეც 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში თამაშობს. მას არ შეხვედრიხარ?

— არა. ისე, ტელეფონით ან ინტერნეტით ვეკონტაქტებით-ხოლმე ერთმანეთს. ვიცი, რომ თარგამაძე ერთ-ერთი საუკეთესოა თავის გუნდში.

— ბოლოს საქართველოს ნაკრების ლატვიასთან წაგებულ მატჩზეც გკითხავ...

— რაც ეროვნულ ნაკრებში ვარ, ასე ცუდად არ გვითამაშია. არაფერი გამოგვდიოდა. გულშემატკივარიც გავაწბილეთ... იმედი მაქვს, ჩვენი ასეთი ცუდი თამაში ბოლო იქნება.

**ილია ნანობაშვილი**

### სლოვაკეთი

I ლიგა. XIX ტური

სენეცი 0:0 ჟილინა

### ინგლისი

I ლიგა. XXXV ტური

ჩელტენემი 1:1 საუთენდი

### გერმანია

ბუნდესლიგა. XXII ტური

ჰერტა 2:0 დუისბურგი

II ბუნდესლიგა. XXII ტური

ფიურტი 2:2 კიოლნი

გლადბახი 2:0 აუე

ვეჰენი 2:1 აუგსბურგი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXIII ტური

ალენი 4:2 ვერდერი (მ)

ვოლფსბურგი (მ) 0:3 უნიონი

სამხრეთ რეგიონალლიგა XX ტური

ბურგჰაუზენი 1:0 ოგერშაიმი

ელვერსბერგი 0:2 რეგენსბურგი

ინგოლშტადტი 3:1 შტუტგარტი (მ)

### პოლონეთი

I ლიგა. XIX ტური

ლეხი 0:0 ზაგლები

პოლონია 1:0 სოსნოვიცი

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XXVI ტური

აიაჩო 0:0 რეიმსი

ბულონი 2:1 ამიენი

დიჟონი 3:1 კლერმონი

გენიონი 0:1 ბრესტი

გენგამი 2:1 სედანი

მონპელიე 1:0 ანჟერი

ნანტი 2:2 ლიბურნი

ნიორი 2:1 შატორუ

გრენობლი 1:0 ბასტია

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. XXVII ტური

ვიტესი 1:3 ვენლო

II დივიზიონი. XXX ტური

აპელდორნი 4:5 ემენი

კამბური 2:0 ვალვაიკი

ალმერე 1:0 დენ ბოსხი

ვოლენდამი 2:3 სიტარდი

იგლსი 1:2 ჰელმონდი

მაასტრიხტი 1:1 ვეენდამი

როზენდალი 0:1 დენ ჰააგი

ოსი 1:1 დორდრეხტი

ჰაარლემი — ტელსტარი გადაიდო

### რუმინეთი

პირველი ლიგა

ჩაჰლაული 0:1 ფარული

### ბელგია

იუპილერლიგა. XXIV ტური

ბრიუგე 0:2 შარლერუა

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXI ტური

ბრაგა 0:0 გიმარაეში

### თურქეთი

სუპერლიგა. XXIV ტური

ძონია 1:0 ტრაბზონი

### უკრაინა

ვიშა ლიგა. XIX ტური

არსენალი 1:1 ზარია

### ფინეთი

ლიგის თასი. V ტური

ჰონკა 2:2 ჰიკ

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა

ზალაეგერსეგი 4:1 უიპეშტი

### ამხანაგური მატჩები

ორჰუსი 2:1 შერიფი

ბრონდბიუ 0:2 კალმარი

ტრომსიო 1:1 (3:2პ) რუბინი

ლილესტრიომი 2:2 სტრიომსგოდსეტი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია 50 წლის იუბილეს ულოცავს ქართული ფეხბურთის მემატიანეს რევაზ შენგელიას. უსურვებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს!

სარბიელელები 50 წლის იუბილეს ვულოცავთ ძველ სარბიელელ რევაზ შენგელიას. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, მხნეობას და წარმატებებს!

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
II წრე. 15 ტური

ზესტაფონი. 1 მარტი. 15 საათი. ცენტრალური

### ზესტაფონი — მესხეთი

მსაჯები: ლ. სილაგავა, კ. ბერაძე, ს. სპიცინი, კ. ჭაჭუა

ბოლნისი. 1 მარტი. 15 საათი. თამაზ სტეფანია

### სიონი — დინამო

მსაჯები: ლ. კვარაცხელია, ა. კოკაია, ი. უკლება, ლ. ფანიაშვილი

თბილისი. 1 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი

### ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, ზ. ფიფია, დ. კვეტენაძე, ა. კრიჭაშვილი

ბორჯომი. 1 მარტი. 15 საათი. ჯემალ ზეინკლიშვილი

### ბორჯომი — სპარტაკი

მსაჯები: პ. დოგრაშვილი, დ. სანოძე, ზ. ბერულავა, ჯ. ბუიშვილი

რუსთავი. 2 მარტი. 15 საათი. ფოლადი

### ოლიმპი — ბათუმი

მსაჯები: ა. ნონიკაშვილი, ზ. ხუციშვილი, მ. ელიკაშვილი, თ. გვანცელაძე

გორი. 2 მარტი. 15 საათი. თენგიზ ბურჯანაძე

### დილა — ამერი

მსაჯები: გ. ვადაჭკორია, კ. ტეფნაძე, ა. გუნთაძე, ზვ. ასკაროლი

თბილისი. 2 მარტი. 15 საათი. მერანი

### მერანი — მგლები

მსაჯები: ო. ხეცაძე, ო. მოლოდინაშვილი, კ. გუდურაშვილი, მ. მაისურაძე



„კოლხიდას" მორიგი რეპორტაჟი: „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯია"

# ცხრილს ვისი თავი აქვს თუ ვის რისი თავი აქვს? დღეს მზე ვაკეში გამოანათებს

**ხომ** ნახეთ, როგორ დაძაბა წინა ტურმა ცხრილის ზედა ნაწილი?

შესაძლოა, იტალიის სერია A-ში ან ესპანურ პრიმერაში ორი ლიდერის წყვილად წაგება დიდად არ გაუკვირდეთ, საქართველოს ჩემპიონატში კი მართლაც იშვიათი შემთხვევა მოხდა — თბილისის „დინამომ" და „ზესტაფონმა" წააგეს, რითაც თბილისის „ვიტ ჯორჯიას" საჩემპიონო შანსები გაეზარდა.

დღეს-ხვალ წინა ტურივით მყვირალა თამაშები არ არის, მაგრამ ქაღალდზე ჩანს ასე — მინდორზე რა მოხდება, ამას ორშაბათის „სარბიელში" იხილავთ.

ახლა კი იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს...

მთავარი მატჩები დღესაა და ყველაზე საინტერესოდ ბოლნისური „სიონი" — „დინამო" გვეჩვენება, რაკილა ქვემოქართლელებმა მეორე წრე მოგებით დაიწყეს და საამმატჩოდ განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან.

მართალია, „სიონი" ის ძალა აღარაა, ორი-სამი წლის წინ რომ იყო, მაგრამ „თამაზ სტეფანიაზე" ამ შემადგენლობითაც შეუძლია ნებისმიერი ქართული კლუბის წაქცევა — აკი, „ვიტ ჯორჯიას" უკვე აგემა მარცხი.

დუშან უჰრინის გუნდისთვის დანაკლისი იქნება შოთა გრიგალაშვილის არყოფნა, მასპინძლები კი ლევან შავგულიძესა და შოთა ჯიქიას მოისაკლისებენ.

„სიონს" კატასტროფული მდგომარეობა არ აქვს, გასავარდნი ზონიდან კარგა მანძილითაა დაშორებული, მაგრამ როცა „დინამოს" ეთამაშები, მგონი, სატურნირო მდგომარეობა მეორე პლანზე უნდა იყოს — მოტივაციას მხოლოდ ცხრილი არ იძლევა.

შესაძლოა, ამ ტურის შემდეგ სამივე ლიდერს 37-37 ქულა ჰქონდეს, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ „დინამო" ფრედ ითამაშებს, „ზესტაფონი" და „ვიტ ჯორჯია" კი მოიგებენ.

ფეროელები მეშვიდეზე მყოფ ახალციხის „მესხეთს" მასპინძლობენ, რომლებმაც წინა ტური გამოტოვეს. ყველანაირი ლოგიკით, თემურ მახარაძის გუნდს სტუმართა ძლევა არ უნდა გაუჭირდეს, მით უმეტეს, რომ შინ მიჯრით 7 მოგება მოუგროვებიათ.

ამ ფორმაციის „ზესტაფონის" შემადგენლობიდან ყველაზე ძლიერად ბექა გოცირიძე გამოიყურება — პირველ რიგში, მისი იმედი აქვთ იმერლებს.

„ვიტ ჯორჯიას" ზღუდე თანაქალაქელი „ლოკომოტივია", რომელიც ხანდახან გამოანათებს ხოლმე და წინა ტურშიც ასე „მოიქცა", როცა „ამერს" გლდანში ქულა დასტყუა. აი, ვიტელებთან კი ვაკელებმა ამ სეზონში ვერაფერი გააწყვეს — ორჯერ თასზე წააგეს, ერთხელაც ჩემპიონატში.

„მწვანეების" შედარებით სუსტი რგოლი თავდასხმაა, სადაც ნიკა გელაშვილი აღარ ჰყავთ, მაგრამ ვიტელებისგან ხომ მივეჩვიეთ (და თვითონ ჩვენზე მეტადაც მიეჩვივნენ) წამყვანი ფეხბურთელების გაშვებას.

დღევანდელი მატჩებიდან შედარებით ნაკლებ ინტერესს იწვევს „ბორჯომი" — „სპარტაკი". თორელები მეხუთე საფეხურზე კი არიან, მაგრამ საპირველწრეო შემადგენლობის დაშლის შემდეგ ეს მათი მაქსიმალური ზღვარი უნდა იყოს. აბა, სად შარშანდელი „ბორჯომი" და სად წინა კვირის, „მერანთან" ნათამაშევი.

ხვალ რუსთავის „ოლიმპი" აუტსაიდერ „ბათუმს" დაუხვდება და ალბათ მორიგ სამ ქულას მოიპოვებს.

ჭაკადაა ზღვისპირელთა საქმე, წინა თამაშში ბოლო ადგილიდან დაძვრის შანსი გაუშვეს და კიდევ უფრო დაუმძიმდათ ვითარება. ანატოლი პისკოვეცის „ოლიმპს" კი „დინამოს" ძლევის შემდეგ მადა გაეხსნებოდა, ასე გვგონია...

დავით დევდარიან-ალექსანდრ ომელიანოვ-ნიკა სტეფანიშვილის სამეული თუ ისევ „დინამოურად" გაისარჯა, სტუმრებმა ქულაზე არც უნდა იფიქრონ.

ბოლოსწინაადგილოსანი გორის „დილა" „ამერს" ეთამაშება და წარმატების იმედიც აქვს. რატომაც არა, გიორგი ჩიხრაძის გუნდი ვერა და ვერ ეღირსა სტაბილურობას, კვირასაც უადგილოდ დაკარგა ორი ქულა „ლოკომოტივთან".

ამერელთა წამყვანი ფეხბურთელები ფორმაში არ არიან, ზოგს ტრავმა აქვს და ამის ბრალიცაა, სეზონის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტად მონათლული გუნდი უხეირო სეზონს რომ ატარებს.

და „მერანი" — „მგლები", სადაც მასპინძლებს უფრო სჭირდებათ მოგება: ცხრილი ასე გვეუბნება. ზუგდიდელებს წინა ტურში არ უთამაშიათ და ამადაც საინტერესოა მათი ნახვა, „მგლების" შემადგენლობა ხომ საკმაოდ გადასხვაფერდა.

და ერთიც: დღეს 15 საათზე „კოლხიდა" „ლოკომოტივი" — „ვიტ ჯორჯიას" მატჩს აჩვენებს ტელეკომპანია „მზეზე". ასე რომ, თუ ვაკეში წასვლა ვერ მოახერხეთ, ტელევიზორი ჩართეთ...

**ილია ნანობაშვილი**

**დისკვალიფიცირებულნი:**

გიორგი კახელიშვილი (ოლიმპი), შოთა გრიგალაშვილი (დინამო), მიხეილ თაყაძე (მესხეთი), არდალიონ მიქაბერიძე (ვიტ ჯორჯია), გივი ქარქუზაშვილი (ბორჯომი), ანზორი კალაძე (მერანი), ზურაბ ქვაჩახია (ამერი), გიორგი მიქაძე (დილა), გიორგი ოქრუაშვილი (ბათუმი), ლევან შავგულიძე (სიონი), შოთა ჯიქია (სიონი), ავთანდილ კუნჭულია (ბათუმის მწვრთნელი).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 14 | 12 | 0 | 2 | 36:6 | 36 |
| ვიტ ჯორჯია | 14 | 11 | 1 | 2 | 27:9 | 34 |
| ზესტაფონი | 14 | 11 | 1 | 2 | 27:8 | 34 |
| ოლიმპი | 14 | 8 | 3 | 3 | 15:9 | 27 |
| ბორჯომი | 14 | 7 | 4 | 3 | 17:10 | 25 |
| ამერი | 14 | 7 | 1 | 6 | 22:17 | 22 |
| მესხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 15:17 | 20 |
| სიონი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:17 | 18 |
| მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| მერანი | 14 | 4 | 1 | 9 | 8:23 | 13 |
| სპარტაკი | 14 | 3 | 3 | 8 | 5:16 | 12 |
| ლოკომოტივი | 14 | 3 | 1 | 10 | 9:22 | 10 |
| დილა | 14 | 1 | 4 | 9 | 7:24 | 7 |
| ბათუმი | 14 | 1 | 2 | 11 | 5:28 | 5 |

**ბომბარდირები**

| | | |
|---|---|---|
| 10 | მ. ხუციშვილი | დინამო |
| 9 | გ. მერებაშვილი | დინამო |
| 8 | გ. ნოდ. ჭელიძე | ზესტაფონი |

# ლომაიას რუმინეთში იწვევენ?

**კარგა** ხანია, საქართველოს ნაკრების ყოფილი მეკარე გიორგი ლომაია უგუნდოდ არის. ლომაია „ვიტ ჯორჯიასთან" ერთად ვარჯიშობს და ახალი კლუბის ძიებაშია.

ბოლო დროს რამდენიმე ვერსია გავრცელდა ქართველი მეკარის ახალი გუნდის თაობაზე.

ბოლო ინფორმაციით, ჩვენებურს ერთ-ერთი რუმინული კლუბი სამი თვით ეპატიჟება და გიორგის მიწვევაც უკვე მიუვიდა, თუმც ამ კლუბის ვინაობა ჯერჯერობით ვერ შევიტყვეთ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კვირკველიას რუბინი მეოთხეა

**ყაზანის** „რუბინმა" ლა მანგას თასზე მესამე ადგილისთვის მატჩიც წააგო და ისევ პენალტების სერიით. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, თერთმეტი მეტრიდან კი ნორვეგიულმა „ტრომსომ" უკეთ დაარტყა — 3:2.

წინა მატჩის დარად, ნუკრი რევიშვილსა და ლაშა სალუქვაძეს არ უთამაშიათ, დავით კვირკველია კი პირველი ტაიმის შემდეგ შეცვალეს.

ერთიც: წინა მატჩში პენალტი კვირკველიამ გააცუდა, გუშინ კი მისმა შემცვლელმა ჯეფტონმა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ზურაბ ხიზანიშვილი ჯორდებთან მზადაა

## პრემიერლიგას მანჩესტერი მოიგებს

**ზურაბ ხიზანიშვილი** შაბათს „ნიუკასლთან" ითამაშებს. საქმე ისაა, რომ „ხიზანას" ფეხი სტკიოდა, „ბლექბერნის" ორი ვარჯიში გამოტოვა შუა კვირაში და ამიტომაც იყო მისი „ჯორდებთან" თამაში საეჭვო.

„რთული მატჩი გვექნება, „ნიუკასლს", სხვა თუ არაფერი, თავდასხმა მაინც ჰყავს მაგარი. მაგრამ ვეცდებით, მოვიგოთ. ეს შეგვიძლია. რაც შეეხება ძირითადში ჩემს დამკვიდრებას, ვფიქრობ, ეს დროებითი არ არის. მწვრთნელ მარკ ჰიუზთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, მან იცის ჩემი შესაძლებლობები. ჰიუზი ყოველთვის იმის მიხედვით აყენებს ძირითად თერთმეტ კაცს, თუ რა ფორმაში არის ესა თუ ის ფეხბურთელი თამაშის წინ. ავტორიტეტებს მაინცდამაინც არ აქცევს ყურადღებას" — გვითხრა ხიზანიშვილმა.

საქართველოს ნაკრების მცველს პროგნოზის გაკეთებაც ვთხოვეთ — ვინ მოიგებს პრემიერლიგას?

— მე მანჩესტერში ვცხოვრობ, ისედაც მომწონს „მანჩესტერ იუნაიტედი" და მგონია კიდეც, რომ ისინი გახდებიან ჩემპიონები. მართალია, ახლა „არსენალია" პირველ ადგილზე, მაგრამ „მანჩესტერი" უფრო ძლიერ გუნდად მიმაჩნია, შემადგენლობაც უკეთესი ჰყავს".

**ილია ნანობაშვილი**

# შერიფმა ტყუპები დააშორა: ვალტერი კი, პავლე არა

**კვიპროსულ** შეკრებაზე მყოფი ტირასპოლის „შერიფი" მორიგ საკონტროლო შეხვედრაში დანიურ „ორჰუსს" გაეჯიბრა და 1:2 დამარცხდა.

ტირასპოლელთა შემადგენლობაში ორმა ქართველმა ფეხბურთელმა ითამაშა — კაპიტანმა ვაჟა თარხნიშვილმა 90 წუთი შეუცვლელად ჩაატარა, ხოლო ვალტერ ხორგუაშვილი მოედანზე 75-ე წუთზე შევიდა.

რაც შეეხება მესამე ქართველს, ვალტერის ტყუპისცალ პავლე ხორგუაშვილს, ვინც სარეზერვო გუნდიდან დაიმატეს, გუშინდელ მატჩში არ გამოჩენილა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ზაალ ელიავას მეორე ტესტი

**პერმის** „ამკარში" მეორე საკონტროლო მატჩში ითამაშა გასინჯვაზე მყოფმა ზაალ ელიავამ.

ჩვენებური ლატვიურ „ვენტსპილსთან" (2:1) მატჩში მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა.

„ვენტსპილსის" შემადგენლობაში არ უთამაშია ზურაბ მენთეშაშვილს, რომელიც ისევ ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ციმაკურიძე ბელარუსშიც ვერ გაჩერდა

**ლუგანსკის** „ზარიადან" წამოსულმა გიორგი ციმაკურიძემ ზამთრის პაუზისას ორ უკრაინულ გუნდში სცადა გადასვლა — საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილ კაპიტანს ჯერ სიმფეროპოლის „ტავრია" აკვირდებოდა, შემდეგ უჟგოროდის „ზაკარპატიე", თუმცა ორივეგან გუნდში აყვანაზე უარი უთხრეს.

უკრაინაში დაწუნებულმა ციმაკურიძემ ბელარუსს მიაშურა და სოლიგორსკის „შახტიორში" მოსინჯა ძალა.

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქართველი ბელარუსის საშუალო გუნდმაც დაიწუნა.

„შახტიორში" ციმაკურიძემ ორი მატჩი ითამაშა — როსტოვის სკასთან (3:1) და პოლონურ „არკასთან" (1:0) და ბელარუსული სააგენტოების ცნობით, სოლიგორსკელთა მწვრთნელს თავი ვერაფრით მოაწონა.

განაპირა მცველ ციმაკურიძეს უკრაინის უმაღლეს ლიგაში 45 მატჩი აქვს ჩატარებული და 2 გოლი გატანილი, მათგან ერთი „სტალის" შემადგენლობაში, როცა თავის ყოფილ კლუბს, დონეცკის „შახტარს" გაუტანა და ალჩევსკელებს სენსაციური ფრე გაახერხებინა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ქართველებმა განძასარი აავსეს

**სომხურ** „განძასარში" სამი ქართველი, მანუჩარ კვიციანი, დავით ხანიშვილი და მამუკა მენთესაშვილი რომ ისირჯებოდა, ადრეც ვწერდით. ახლა კი ჩვენს სამეზობლოს თავის მოსაწონებლად კიდევ ერთი ჩვენებური ეწვია — მეკარე გიორგი კობახიძე.

სომხური ვებგვერდების ცნობით, ოთხივე ქართველმა „განძასარის" ხელმძღვანელობას თავი უკვე მოაწონა და კონტრაქტებიც გააფორმეს, თუმც რა ვადიანია ეს კონტრაქტები, სომხები არ წერენ.

შეგახსენებთ, რომ ქართულ კვარტეტს „განძასარში" კიდევ ერთი ჩვენებური დახვდება — გიორგი თბილაშვილი, რომელიც სომხურ გუნდში შარშანდელ სეზონშიც თამაშობდა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# როგორ გადაურჩნენ ქართველები გაუკრაინელებას

## ზაალიშვილმა და ვაშაკიძემ დინამო არსენალზე გაცვალეს



ამ რამდენიმე დღის წინ კიევის „არსენალის" ვებგვერდზე ამ გუნდის ამხანაგურ მატჩზე ინფორმაცია ამოვიკითხეთ, რომელიც გვაუწყებდა, კიევისავე ცსკა-სთან 3:1 მოგებულ შეხვედრაში მეორე ტაიმში დემეტრაძე ვაშაკიძემ შეცვალაო.

გიორგი დემეტრაძე ვინც არის, ქართველ გულშემატკივარს შეხსენება არ სჭირდება, აი, 17 წლის დავით ვაშაკიძით კი, ბუნებრივია, დავინტერესდით და სხვა საინტერესო ამბავიც მოვიძიეთ: „არსენალში" კიდევ ერთი ქართველი ჭაბუკი, ნიკა ზაალიშვილიც გადავიდა. ვაშაკიძეც და ზაალიშვილიც „ოლიმპის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილები არიან და ჭაბუკთა ლიგაც მოუგიათ 1991-წლიანებში.

სამწუხარო კია, ახალგაზრდა ფეხბურთელებს თავიდანვე უცხოეთზე რომ უჭირავთ თვალი, მაგრამ როგორ გინდა გაამტყუნო, როცა იქ მეტ პერსპექტივას ხედავენ...

თუმც ეს ცალკე საუბრის თემაა, ქვემოთ კი ვაშაკიძის და ზაალიშვილის ამბებს მოგითხრობთ.

**ნიკა ზაალიშვილს** გუშინ კიევში დავურეკეთ...

— მე და დათო თავდაპირველად კიევის „დინამოში" მივედით გასასინჯად, „არსენალზე" არც გვიფიქრია. გვნახეს, დაგვაკვირდნენ და უცნაური რამ გვითხრეს, უკრაინის მოქალაქეობას თუ მიიღებთ, მიგიღებთო. მოქალაქეობის შეცვლა არც ჩვენ გვინდოდა და მშობლებსაც რომ ვუთხარით, ისინიც წინააღმდეგები იყვნენ. რა უნდა გვექნა? ამ დროს „არსენალში" მისვლა გვირჩიეს და კმაყოფილებიც ვართ, აქ რომ მოვედით...

...ბლომად ბიჭები ვიყავით გასინჯვაზე. ზოგი იმ დღესვე დაიწუნეს, ჩვენ კი მეორე დღესაც დაგვიბარეს. ისევ დაგვაკვირდნენ და გვითხრეს, სეზონის დაწყებამდე ჩვენთან იყავით და იმ დროისთვის გადავწყვეტთ საბოლოოდ თქვენი ჩარიცხვის საკითხსო. უკრაინაში 17-წლამდელთა ლიგა 12 აპრილს იწყება და იქამდე უნდა გვეცადა...

...მოკლედ, დავიწყეთ ვარჯიში და, როგორც ჩანს, ისე მოვეწონეთ, ორი კვირა არ იყო გასული, საქართველოდან განთავისუფლების ფურცლების გამოგზავნა რომ მოგვთხოვეს, უკვე გადავწყვიტეთ თქვენი განაცხადში შეყვანაო. „ოლიმპის" დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა ხელი შეგვიწყო, განთავისუფლების ფურცლები მოგვცა და ახლა უკვე არსენალელები ვართ...

...აქ საუკეთესო პირობებია. ბალახის და ხელოვნური მოედნები, ტრენაჟორები, აუზი, ყველაფერი ერთ კომპლექსშია. ჩვენც თავს არ ვზოგავთ. ფაქტობრივად, ვარჯიშის და ძილის მეტს არაფერს ვაკეთებთ. სულ ერთხელ გავისეირნეთ ქალაქში... ვარჯიშებზე ისეთი დატვირთვებია, გასეირნება კი არა, ერთი სული გვაქვს, ლოგინამდე მივიდეთ...

...ვატყობთ, რომ პერსპექტივაც გვაქვს. აი, დათომ „არსენალის" მთავარ გუნდში ერთი ტაიმი ითამაშა, გიორგი დემეტრაძე შეცვალა. მე 17-წლამდელებიდან 19-წლამდელებში გადამიყვანეს. საერთოდ, აქ როტაციის პრინციპი აქვთ და ნებისმიერ დროს კლუბის ნებისმიერ გუნდში შეიძლება გათამაშონ. ერთი სიტყვით, მომავალს იმედით ვუყურებთ და თავს არ ვზოგავთ.

**კოტე კეკელია**

# და მაინც საქართველომ ფარცვანია უკვე დაკარგა

**ქართულმა** ფეხბურთმა კიდევ ერთი ნიჭიერი ფეხბურთელი დაკარგა — თბილისში დაბადებული და კიევის „დინამოს" სარეზერვო გუნდში მოთამაშე თემურ ფარცვანია მომავალში რა დონის ფეხბურთს ითამაშებს, ჯერ არავინ იცის, თუმც ფაქტია, რომ 15 წლის ჭაბუკში უკრაინელები დიდ პერსპექტივას ხედავენ და 17-წლამდელთა ნაკრებშიც მიიწვიეს, მეტიც — სპეციალისტები მას ნაკრების ძირითად ფეხბურთელად თვლიან.

უკრაინის მოქალაქეობამიღებული ფარცვანია კი ისტორიულ სამშობლოს ველარაფერში დაეხმარება...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
## პირველი ლიგა კალენდარი



პირველი ლიგა
2 მარტს განახლდება

ბაჩო კორძაიას ფოტო

## აღმოსავლეთი

### მეორე წრე

**XVI ტური**

2 მარტი, კვირა
გაგრა – დინამო 2
მეშაქრე – ჩიხურა
ვიტ ჯორჯია 2 – კახეთი

3 მარტი, ორშაბათი
ნ.დინ-მერანი 2 – ოლიმპი 2
ამერი 2 – ოლიმპიკი
გაგრა – ნ.დინ-მერანი 2
ოლიმპიკი – კახეთი

**XVII ტური**

9 მარტი, კვირა
კახეთი – მეშაქრე
ჩიხურა – გაგრა

10 მარტი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია 2 – ნ.დინ-მერანი 2
დინამო 2 – ამერი 2
ოლიმპიკი – ოლიმპი 2

**XVIII ტური**

15 მარტი, შაბათი
ნ.დინ-მერანი 2 – ოლიმპიკი
გაგრა – კახეთი

16 მარტი, კვირა
ოლიმპი 2 – დინამო 2
ამერი 2 – ჩიხურა
მეშაქრე – ვიტ ჯორჯია 2

### მესამე წრე

**XIX ტური**

23 მარტი, კვირა
მეშაქრე – ნ.დინ-მერანი 2
ამერი 2 – კახეთი

24 მარტი, ორშაბათი
ოლიმპი 2 – ჩიხურა
ოლიმპიკი – დინამო 2
გაგრა – ვიტ ჯორჯია 2

**XX ტური**

30 მარტი, კვირა
ჩიხურა – ოლიმპიკი
კახეთი – ოლიმპი 2

31 მარტი, ორშაბათი
ნ.დინ-მერანი 2 – დინამო 2
ვიტ ჯორჯია 2 – ამერი 2
მეშაქრე – გაგრა

**XXI ტური**

6 აპრილი, კვირა
ამერი 2 – მეშაქრე
ოლიმპი 2 – ვიტ ჯორჯია 2
დინამო 2 – ჩიხურა

**XXII ტური**

13 აპრილი, კვირა
ნ.დინ-მერანი 2 – ჩიხურა
კახეთი – დინამო 2

14 აპრილი, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია 2 – ოლიმპიკი
მეშაქრე – ოლიმპი 2
გაგრა – ამერი 2

**XXIII ტური**

18 აპრილი, პარასკევი
ამერი 2 – ნ.დინ-მერანი 2
ოლიმპი 2 – გაგრა

19 აპრილი, შაბათი
ოლიმპიკი – მეშაქრე
ჩიხურა – კახეთი
დინამო 2 – ვიტ ჯორჯია 2

**XXIV ტური**

24 აპრილი, ხუთშაბათი
ნ.დინ-მერანი 2 – კახეთი
მეშაქრე – დინამო 2
გაგრა – ოლიმპიკი

26 აპრილი, შაბათი
ვიტ ჯორჯია 2 – ჩიხურა
ამერი 2 – ოლიმპი 2

**XXV ტური**

4 მაისი, კვირა
ოლიმპი 2 – ნ.დინ-მერანი 2
ოლიმპიკი – ამერი 2
დინამო 2 – გაგრა
ჩიხურა – მეშაქრე
კახეთი – ვიტ ჯორჯია 2

**XXVI ტური**

10 მაისი, შაბათი
ნ.დინ-მერანი 2 – ვიტ ჯორჯია 2
მეშაქრე – კახეთი
გაგრა – ჩიხურა
ამერი 2 – დინამო 2
ოლიმპი 2 – ოლიმპიკი

**XXVII ტური**

16 მაისი, პარასკევი
ოლიმპიკი – ნ.დინ-მერანი 2
დინამო 2 – ოლიმპი 2
ჩიხურა – ამერი 2
კახეთი – გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 – მეშაქრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 15 | 10 | 4 | 1 | 37:23 | 34 |
| დინამო 2 | 15 | 8 | 4 | 3 | 24:14 | 28 |
| მეშაქრე | 14 | 8 | 2 | 4 | 24:16 | 26 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 7 | 4 | 4 | 23:13 | 25 |
| ჩიხურა | 15 | 7 | 3 | 5 | 28:23 | 24 |
| ოლიმპი 2 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:15 | 21 |
| კახეთი | 15 | 5 | 3 | 7 | 24:25 | 18 |
| ამერი 2 | 14 | 5 | 2 | 7 | 24:26 | 17 |
| ოლიმპიკი | 15 | 3 | 3 | 9 | 19:29 | 12 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 14:46 | 2 |

## დასავლეთი

### მეორე წრე

**XVI ტური**

2 მარტი, კვირა
ხობი – მარტვილი
ტორპედო – კოლხეთი

3 მარტი, ორშაბათი
ფაზისი – სამტრედია
მეშაქრე – უნივერსიტეტი
მალაროელი – ზესტაფონი 2
სამტრედია – ზესტაფონი 2
კოლხეთი – უნივერსიტეტი

**XVII ტური**

9 მარტი, კვირა
მალაროელი – ხობი
კოლხეთი – ფაზისი
სამტრედია – მარტვილი

10 მარტი, ორშაბათი
ზესტაფონი 2 – მეშაქრე
უნივერსიტეტი – ტორპედო

**XVIII ტური**

15 მარტი, შაბათი
მეშახტე – მალაროელი

16 მარტი, კვირა
ხობი – სამტრედია
მარტვილი – კოლხეთი
ფაზისი – უნივერსიტეტი
ტორპედო – ზესტაფონი 2

### მესამე წრე

**XIX ტური**

24 მარტი, ორშაბათი
მეშახტე – ხობი
ტორპედო – მალაროელი
ფაზისი – ზესტაფონი 2
მარტვილი – უნივერსიტეტი
სამტრედია – კოლხეთი

**XX ტური**

30 მარტი, კვირა
ხობი – კოლხეთი
უნივერსიტეტი – სამტრედია
ზესტაფონი 2 – მარტვილი
მალაროელი – ფაზისი
მეშახტე – ტორპედო

**XXI ტური**

6 აპრილი, კვირა
ტორპედო – ხობი
ფაზისი – მეშახტე
მარტვილი – მალაროელი

**XXII ტური**

13 აპრილი, კვირა
ხობი – უნივერსიტეტი
ზესტაფონი 2 – კოლხეთი
ტორპედო – ფაზისი

14 აპრილი, ორშაბათი
მალაროელი – სამტრედია
მეშახტე – მარტვილი

**XXIII ტური**

18 აპრილი, პარასკევი
ფაზისი – ხობი
სამტრედია – მეშახტე

19 აპრილი, შაბათი
კოლხეთი – მალაროელი
უნივერსიტეტი – ზესტაფონი 2
მარტვილი – ტორპედო

**XXIV ტური**

24 აპრილი, ხუთშაბათი
ხობი – ზესტაფონი 2
ფაზისი – მარტვილი
მეშახტე – კოლხეთი
ტორპედო – სამტრედია
მალაროელი – უნივერსიტეტი

**XXV ტური**

4 მაისი, კვირა
მარტვილი – ხობი
სამტრედია – ფაზისი
კოლხეთი – ტორპედო
უნივერსიტეტი – მეშახტე
ზესტაფონი 2 – მალაროელი

**XXVI ტური**

10 მაისი, შაბათი
ხობი – მალაროელი
მეშახტე – ზესტაფონი 2
ტორპედო – უნივერსიტეტი
ფაზისი – კოლხეთი
მარტვილი – სამტრედია

**XXVII ტური**

16 მაისი, პარასკევი
სამტრედია – ხობი
კოლხეთი – მარტვილი
უნივერსიტეტი – ფაზისი
ზესტაფონი 2 – ტორპედო
მალაროელი – მეშახტე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მალაროელი | 15 | 13 | 2 | 0 | 35:10 | 41 |
| მარტვილი | 15 | 8 | 3 | 4 | 21:12 | 27 |
| მეშახტე | 15 | 9 | 0 | 6 | 27:25 | 27 |
| ტორპედო | 14 | 7 | 4 | 3 | 25:16 | 25 |
| ზესტაფონი 2 | 13 | 6 | 2 | 5 | 20:12 | 20 |
| კოლხეთი | 15 | 5 | 5 | 5 | 17:18 | 20 |
| ხობი | 15 | 4 | 5 | 6 | 18:21 | 17 |
| უნივერსიტეტი | 15 | 4 | 3 | 8 | 11:16 | 15 |
| ფაზისი | 15 | 2 | 2 | 11 | 17:37 | 8 |
| სამტრედია | 14 | 1 | 2 | 11 | 11:35 | 5 |

# დავით სირაძე: ნალჩიკი ნაღდია. ვადაზე ფიქრობს ქართველი წინ იხედება

**დავით სირაძემ** ნალჩიკის „სპარტაკთან“ ერთად ესპანური შეკრება გაიარა, ახლა კი თურქულ ანთალიაშია ყაბარდოულ გუნდთან ერთად, თუმც ჯერ კონტრაქტი არ გაუფორმებია.

ნალჩიკელთა თავკაცმა იური კრასნოჟანმა თქვა, გუნდის დაკომპლექტებას თითქმის მოვრჩით, საკარაუდოდ, ერთ მეკარეს და თავდამსხმელს დავიმატებთო. ალბათ, ეს თავდამსხმელი სწორედ სირაძე იქნება.

და რატომ გაიწელა კონტრაქტის ამბავი, როცა დავითმა ყოფილ კლუბ „პადებორნთან“ ხელშეკრულება გაწყვიტა?

როგორც შევიტყვეთ, „სპარტაკი“, სულ ცოტა, 2-წლიან კონტრაქტზეა თანახმა, სირაძეს კი ნახევარი წლით ან მაქსიმუმ ერთი წლით უნდა ნალჩიკში დარჩენა.

სირაძის ოჯახში გვითხრეს, რომ ნალჩიკელებთან კონტრაქტი აუცილებლად გაფორმდება — ახლა სწორედ ვადაზეა ლაპარაკი.

დავითს მცირეხნიანი კონტრაქტი იმიტომ სურს, რომ მისით უფრო ცნობილი რუსული კლუბები ყოფილან დაინტერესებულნი და შემდეგ წასვლაში ხელი რომ არ შეეშალოს...

**ილია ნანობაშვილი**



# ვისი ხელფასი ვისას სჯობს
## პრემიერლიგა ფულშიც პრემიერია


დევიდ ბექემის ხელფასი კაკას ხელფასზე დაბრძილია

**არის** ასეთი ეკონომიკურ-სპორტული ინტერნეტორგანიზაცია „ფეხბურთი და ფინანსები“, რომელიც მსოფლიო ფეხბურთში სხვადასხვა სახის ფინანსურ დათვლებს აწარმოებს და საინტერესო სტატისტიკას აქვეყნებს. რადგან ამ ინტერნეტორგანიზაციასთან უპოპულარულესი გამოცემა „კიკერი“ თანამშრომლობს და მის მონაცემებს ეყრდნობა, ესე იგი, საქმე სერიოზულ დამთვლელებთან გვაქვს.

„ფეხბურთი და ფინანსებმა“ ამჯერად მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი ათი ფეხბურთელი გამოავლინა. აქვე ვთქვათ, რომ ფეხბურთელებს მხოლოდ ფიქსირებული საკლუბო ჯამაგირი დაუთვალეს და სარეკლამო ან სხვა საქმიანობიდან მიღებული სოლიდური თანხები არ ჩაუთვალეს.

აღმოჩნდა, რომ ყველაზე სარფიანი კონტრაქტი, 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს ბრაზილიელ კაკას აქვს. „მილანი“ მას თვეში 750 ათასს ევროს უხდის, რაც წელიწადში 9 მილიონი ევროა. კაკას შემდეგ ყველაზე დიდი ჯამაგირი მის თანამემამულეს, არანაკლებ ჯადოფეხბურთელს რონალდინიოს აქვს. „ბარსელონამ“ „კიჭას“ თამაში და ღიმილი თვეში 710 ათას ევროდ შეაფასა, რაც წლიურ ჯამაგირში რომ გადავაანგარიშოთ, 8 მილიონ 529 ათასი ევრო გამოდის. სიაში მესამე ადგილზე ჩელსელი ფრანკ ლამპარდია, რომლის თვიური ხელაფსი 680 ათასი ევროა, ხოლო წლის ბოლოს მისი საბანკო ანგარიში 8 მილიონ 160 ათასი ევროთი იზრდება.

და სად არის ამ დროს დევიდ ბექემი? ნუ გაიკვირვებთ და, ბექსი საერთოდ ვერ მოხვდა ათეულში. არადა, ლოს-ანჯელესის „გალაქსთან“ ოთხწლიანი და ჯამში სადღაც 300 მილიონიანი კონტრაქტი კი გააფორმა. თუმც ხელფასის სახით მას წელიწადში დაახლოებით შვიდმილიონიანი კონტრაქტი აქვს, დანარჩენს კი სარეკლამო საქმიანობიდან იღებს. თავში კი ვთქვით, რომ ამ სიაში მხოლოდ სუფთა ხელფასი ითვლება.

სიას დავუბრუნდეთ და ვნახავთ, რომ თავში არა, მაგრამ ათიდან შვიდი ფეხბურთელი პრემიერლიგელია. ამათგან ოთხი „ჩელსის“ მოთამაშეა და თუ რომან აბრამოვიჩის უძირო ჯიბეს გავითვალისწინებთ, ესეც ჩვეულებრივი ამბავია. „ლივერპულიდან“ სიაში ფერნანდო ტორესი და სტივენ ჯერარდი მოხვდნენ, ყველაზე „ძუნწი“ კლუბი კი „მანჩესტერ იუნაიტედი“ აღმოჩნდა, ვინც თავის მეგავარსკვლავ კრიშტიანუ რონალდუს წელიწადში 7 მილიონ 680 ათასს ევროს უხდის. რონალდუ სიაში ოდენ მერვეა.

ისე, ტოპხელფასიანთა ათეულში შვიდი პრემიერლიგელი ფეხბურთელის ყოფნაც მარტივად აიხსნება, რადგან ყველაზე შემოსავლიანი ჩემპიონატი სწორედ პრემიერლიგა გამოდგა. ოღონდ ეს ინფორმაცია უკვე ყოველდღიურმა ფრანგულმა სტატისტიკურმა ორგანიზაცია „ევრომედ-მარსელმა“ გამოაქვეყნა.

როგორც ირკვევა, ინგლისის პრემიერლიგის კლუბების ყოველწლიური შემოსავალი ჯამში 1 მილიარდ 155 მილიონი ევროა. თანაც აქ არ იგულისხმება ტრანსფერები და ტელეკონტრაქტებიდან მიღებული მოგება. „ევრომედ-მარსელმა“ კლუბებს მხოლოდ გაყიდული ბილეთების და საკლუბო ატრიბუტიკის რეალიზაციის ფული დაუთვალა. შემოსავლიანობით მეორე ადგილზეა ბუნდესლიგა, მაგრამ პრემიერლიგასთან შედარება უადგილოც კია. ბუნდესლიგური კლუბების წლიური შემოსავალი ჯამში 870 მილიონია. მერე მოდიან ესპანეთის პრიმერა 752 მილიონით, სერია A — 526 მილიონით და საფრანგეთის ჩემპიონატი 886 მილიონი ევროთი.

ცნობისთვის: სეზონში ბილეთების და წლიური აბონემენტების გაყიდვით ყველაზე მეტად ინგლისის პრემიერლიგა ხეირობს. თითოეული კლუბი ამით საშუალოდ 32,7 მილიონ ევროს შოულობს. 2006-07 წლის სეზონში ყველაზე მეტი სარგებელი „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „არსენალმა“ ნახეს. ბილეთებიდან მანჩესტერმა 137,5 მილიონი ევრო მიიღო, ლონდონელებმა კი 134 მილიონი ჩაიჯიბეს.

**ბაჩო სვანიძე**

### ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | კაკა | მილანი | 9 000 000 ევრო |
| 2 | რონალდინიო | ბარსელონა | 8, 520, 000 |
| 3 | ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | 8, 160, 000 |
| 4 | ჯონ ტერი | ჩელსი | 8, 160, 000 |
| 5 | ფერნანდო ტორესი | ლივერპული | 7, 920, 000 |
| 6 | ანდრეი შევჩენკო | ჩელსი | 7, 800, 000 |
| 7 | მიხაელ ბალაკი | ჩელსი | 7, 800, 000 |
| 8 | კრიშტიანუ რონალდუ | მანჩესტერ იუნაიტედი | 7, 680, 000 |
| 9 | ტიერი ანრი | ბარსელონა | 7, 680, 000 |
| 10 | სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 7, 680, 000 |

## მერის ქვისლი შეფილდში

**მოსკოვის** მერის იური ლუჟკოვის ქვისლი ვლადიმირ ევტუშენკოვი „შეფილდ უენსდის“ ყიდვას აპირებს. 60 წლის ბიზნესმენი [illegible] ნანსო კორპორაცია „სისტემას“ აქციათა 75 პროცენტს ფლობს. ამ კორპორაციაში შედის MSX-იც (მობილური კავშირის ოპერატორი).

„დეილი მეილის“ ცნობით, ევტუშენკოვი კლუბს 60 მილიონ გირვანქად შეიძენს, მერე კი შემადგენლობის გასაძლიერებლად 250 მილონს დაახარჯავს. „უენსდი“ ინგლისის ჩემპიონლიგაში თამაშობს და 22-ე ადგილზეა.

## აი, ჯარიმა!

**200 000 გირვანქა** — ამდენი დაუჯდა რეალელ მაჰამადუ დიარას ნაკრებიდან კლუბში გვიან დაბრუნება. „ელ მუნდო დეპორტივო“ წერს, რომ კლუბმა ფეხბურთელს ჯარიმის შესახებ ოფიციალური წერილით აცნობა და მეორე დღეს ანგარიშზე ნაკლული ხელფასი დაუსვა. მალელ ნახევარმცველს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის ათდღიანი ვადა მისცეს. დიარას აგენტმა ფრედერიკ გერამ განაცხადა, რომ „რეალის“ მხრიდან ასეთი ნაბიჯი მის კლიენტს გუნდიდან წასვლისკენ უბიძგებს. ფეხბურთელს „ინტერი“ ეპატიჟება და შესაძლოა, ამ ზაფხულს მალელი მილანში გადაბარგდეს.

## ადვოკაატი ტრიბუნაზე ააგდეს

**„ზენიტის“** მწვრთნელი დიკ ადვოკაატი უეფამ სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. „ვილიარეალთან“ მატჩში ჰოლანდიელი მსაჯთან კამათისთვის გააძევეს. „ზენიტმა“ წააგო, მაგრამ უეფას თასის მერვედფინალში მაინც გავიდა და „მარსელს“ შეხვდება. ადვოკაატი ორივე მატჩს ტრიბუნიდან ნახავს. მას ეკრძალება გასახდელში შესვლა და მოედანზე ჩასვლა. მწვრთნელს სასჯელის გასაჩივრებისთვის სამდღიანი ვადა აქვს. ნევისპირელები „მარსელს“ 6 მარტს ესტუმრებიან, საპასუხო შეხვედრა კი 12-ში გაიმართება.

## სინკლერი დაბლა ჩავიდა

**18 წლის** ფორვარდი სკოტ სინკლერი „ჩელსიმ“ „ჩარლტონს“ ორი თვით დაუთმო. ადრე ფეხბურთელი „ქუინზ პარკშიც“ იყო განათხოვრებული. სინკლერის დებიუტი „ჩელსიში“ შარშან, „არსენალთან“ მატჩში შედგა. სულ ამ სეზონში რვაჯერ ითამაშა და მათ შორის ოთხჯერ ძირითად შემადგენლობაში. „ჩარლტონი“ ინგლისის ჩემპიონლიგაში მეექვსე ადგილზეა და პრემიერლიგაში გადასვლისთვის იბრძვის.

## კელმა მოაწერა

**„დორტმუნდის“** ნახევარმცველმა სებასტიან კელმა კლუბთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. მისი ხელშეკრულების ვადა ამ ზაფხულს იწურებოდა და ამბობდნენ, იურგენ კლინსმანი „ბაიერნში“ ეპატიჟებაო. მიუნხენელებს კონტრაქტდასრულებული ბიჭის ხელში ჩაგდება მუქთად სურდათ. კელმა კი „შავ-ყვითლებს“ უერთგულა და გუნდში 2012 წლამდე დარჩება. იგი „დორტმუნდმა“ 2002-ში „ფრაიბურგისგან“ იყიდა და „ბაიერნი“ მაშინაც ცდილობდა ნახევარმცველის გადაბირებას.

## უალვარესო მარტი

**„ხეტაფეს“** მცველი მარიო ალვარესი ამ თვის ბოლომდე ვეღარ ითამაშებს. იგი გასულ კვირას „რეალთან“ მატჩში დაშავდა — მარჯვენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა და ხუთშაბათს გაირკვა, რომ ოთხი კვირა მკურნალობა მოუწევს. ალვარესი „ხეტაფეში“ შარშან ზაფხულს „უელვადან“ გადავიდა. შეგახსენებთ, რომ მიქაელ ლაუდრუპის გუნდი ესპანეთის თასის მეოთხედფინალშიცაა და უეფას თასის მერვედფინალშიც.

## კასანო ხელფასს იმცირებს

**მადრიდის** „რეალიდან“ „სამპდორიაში“ განათხოვრებულ ანტონიო კასანოს გენუურ კლუბში საქმეები ბრწყინვალედ მისდის. იგი ნელნელა უკეთეს და უკეთეს ფორმაში შედის და შესაძლოა, „სკუადრა აძურასთან“ ერთად, ევრო 2008-ზეც ვიხილოთ.

გენუელებს „ხულიგანის“ შენარჩუნება უნდათ და „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, მისი კონტრაქტის გამოსყიდვა დაახლოებით 6 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ამასთან, კასანოს ამჟამინდელი ხელფასი (წელიწადში 4,5 მილიონი ევრო) „სამპდორიასთვის“ მიუღებელია. თუმც 25 წლის ფეხბურთელს ისე სდომებია „სტადიო მარასიზე“ დარჩენა, რომ მზადაა, ხელფასის 20 პროცენტით შემცირებას დაყაბულდეს. მხარეებს შორის მოლაპარაკებები იმ კვირაში დაიწყება.

**გაგა ხუციშვილი**

## ლიბერტადორესის თასი 2008

### III ჯგუფი. II ტური

**მარაკაიბო 1:3 კოლო კოლო**

0:1 ფიერო (47), 0:2 ბისკაიზაკუ (69), 0:3 ლანკენი (87ს.კ.), 1:3 დიასი (90)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლასი (მექსიკა) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 2 | 1 | 0 | 1 | 3:4 | 3 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| მარაკაიბო (ვენესუელა) | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |

### VI ჯგუფი. II ტური

**კუკუტა დეპორტივო 0:0 სან ხოსე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გვადალახარა (მექსიკა) | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია) | 2 | 0 | 2 | 0 | 0:0 | 2 |
| სანტოსი (ბრაზილია) | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სან ხოსე (ბოლივია) | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |

# უფრთხილდით რაიკარდის ძმაკაცს

**ᲐᲘ, ᲗᲣᲠᲛᲔ** რაშია საქმე: როგორც ირკვევა, „ჩელსის“ მთავარი ამრევი და თავისტკივილი ფრანკ არნესენი ბრძანებულა. რატომ? იმიტომ, რომ წარსულში ცნობილი დანიელი ფეხბურთელი „ბარსელონადან“ ფრანკ რაიკარდის „ჩელსიში“ გადაყვანას ცდილობს, რაც ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ მას გუნდის ახლანდელი თავკაცის, ავრაამ გრანტის გაშვება სურს.

შეგახსენებთ, რომ არნესენს „ლურჯთა“ შორის მთავარი სკაუტის ანუ სელექციონერის და საყმაწვილო სექტორის გამგებლის თანამდებობა უკავია. იმავდროულად იგი რაიკარდის ახლო მეგობარიც ბრძანებულა.

საქმეში ჩახედული ადამიანი: „კლუბში დღევანდელი სიტუაცია სულ უფრო და უფრო ემსგავსება მაურინიუს დროინდელს. გრანტს შეფების მხარდაჭერა ჯერ არ მოკლებია, მაგრამ არნესენისა და რაიკარდის მეგობრობაც თავის როლს თამაშობს და ვითარებას რევს“.

გრანტის წინააღმდეგ ლაშქრობას, ბუნებრივია, მიესალმება მაურინიუს ძველი მომხრე, კოტდივუარელი თავდამსხმელი დიდიე დროგბა:

„მე 4-4-2 განლაგებით მინდა თამაში. მე და ნიკოლა ანელკა ჯერ კიდევ არ ვიცნობთ ერთმანეთის სტილს კარგად, მაგრამ დარწმუნებული ვარ, წყვილში რომ გვათამაშონ, გუნდს დიდ სარგებლობას მოვუტანთ“.

ამასობაში კი, ზუსტად ერთი კვირის წინ, ერთ-ერთ მწვრთნელ ჰენკ ტენ კატესთან ნაჩხუბარი კაპიტანი ჯონ ტერი ამბობს, რომ კონფლიქტის მიუხედავად, არსად წამსვლელი არ არის:

„სადმე წასვლა ვერ წარმომიდგენია, მით უმეტეს, რომ ამ სეზონის დასაწყისში „ჩელსისთან“ ახალ კონტრაქტს მოვაწერე ხელი. ეს კლუბი მიყვარს და მისი დიდი გულშემატკივარი ვარ“.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**



ავრაამ გრანტი და ფრანკ არნესენი




# ჩელსის ბ(ე)რძნული გადაწყვეტილება

**ᲐᲘ, ᲡᲐᲝᲪᲠᲔᲑᲐ:** „ჩელსიმ“ თავის ბერძნული წარმოშობის ქომაგებს „ოლიმპიაკოსთან“ ჩემპიონთა ლიგის თამაშზე ბილეთები არ მიჰყიდა. განა ეს რასიზმი არ არის?

მოგეხსენებათ, ათენური, უფრო ზუსტად კი პირეოსული კლუბი ლონდონში მომავალი კვირის ოთხშაბათს ჩადის და ამ შეხვედრისთვის „ლურჯები“ ბილეთებს ინტერნეტით ონლაინ რეჟიმში ყიდდნენ.

„ჩელსის“ ქომაგი პიტერ პაკოსი: „ეს ენითაუწერელი დისკრიმინაციაა. დაზაფრული ვარ“.

მართლაც დამზაფვრელი რამ დაემართა ამ ადამიანს. როგორც კი „ოლიმპიაკოსისა“ და „ჩელსის“ პირველი თამაში დასრულდა (0:0), 39 წლის ვესტლონდონელმა იჩქარა და კლუბის ვებგვერდის შემწეობით ორ ბილეთში 100 გირვანქა გადაიხადა, მაგრამ დრო რომ გამოხდა, შეტყობინება მიიღო, ბერძენი ხართ და თქვენი შეკვეთა გაუქმებულიაო.

„ეს საშინელი უტაქტობა და უხეშობაა. მე და ჩემი მეგობრები, მართალია, წარმოშობით ბერძნები ვართ, მაგრამ „ჩელსის“ თავგადაკლული ფანებიც გახლავართ“.

და, როგორ ახსნა ეს ყველაფერი საკუთრივ ლონდონურმა კლუბმა? განმარტება ასეთი იყო: ჩვენი ინფორმაციით, „ოლიმპიაკოსის“ ბევრი ქომაგი „ჩელსის“ ვებგვერდის მეშვეობით, როგორც ჩვენი ფანი, ისე აპირებს ბილეთის შოვნას და ამისგან თავს ვიზღვევთო.

**ᲞᲐᲞᲣᲜᲐ ᲫᲔᲓᲘᲐ**

## XXVIII ტური

**დღეს**

| | | |
|---|---|---|
| არსენალი | : | ასტონ ვილა |
| ბირმინგემი | : | ტოტენჰემი |
| დერბი | : | სანდერლენდი |
| ფულემი | : | მანჩესტერი |
| სიტი | : | უიგანი |
| მიდლსბრო | : | რედინგი |
| ნიუკასლი | : | ბლექბერნი |
| ვესტ ჰემი | : | ჩელსი |

**ხვალ**

| | | |
|---|---|---|
| ბოლტონი | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | პორტსმუთი |

# ინგლისი

# ვენგერი ვანს მალავს

**„ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲚᲡ“** რობინ ვან პერსი გამოუჯანმრთელდა, მაგრამ დღეს „ასტონ ვილასთან“ ალბათ არ ათამაშებენ. მწვრთნელი მას „მილანთან“ მატჩისთვის ინახავს. შეტევაში ემანუელ ადებაიორს ნიკლას ბენდტნერი დაეხმარება. ტრავმირებულნი არიან კოლო ტურე, ალექს სონგი, ტომაშ როსიცკი და იოან ჯურუ, ხოლო ემანუელ ებუე დისკვალიფიცირებულია.

„ასტონ ვილამ“ ბოლო ექვს მატჩში 11 ქულა მოაგროვა და მეექვსე საფეხურს უწია. გუნდს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრის შანსი გაუჩნდა და დღეს „მეთოფეებს“ დიდ ბრძოლას გაუმართავს.

ბირმინგემელებს ტრავმირებული ჰყავთ ოლაფ მელბერგი და მისი თამაში საეჭვოა.

წინა ტურში „არსენალთან“ ფრით გახარებული „ბირმინგემი“ მეორე ლონდონურ გუნდს, „ტოტენჰემს“ უმასპინძლებს, რომელმაც გასულ კვირას ლიგის თასი დაისაკუთრა. ბირმინგემელებს 26 დეკემბრის აქეთ თამაში არ მოუგიათ, მაგრამ ისიცაა, რომ ბოლო სამ შეხვედრაში არ დამარცხებულან. დამხვდურებს ოლივიე კაპო და მარტინ ტეილორი დააკლდებათ, ხოლო „ტოტენჰემს“ — ჯონათან ვუდგეიტი და გარეთ ბეილი.

ბოლოადგილოსანი და მხოლოდ ერთი მატჩის მომგები „დერბი“ „სანდერლენდთან“ შეეცდება, ზედიზედ მესამე თამაში არ წააგოს. სტუმრებს ლაიამ მილერი, როს უოლესი და კარლოს ედვარდსი ვერ დაეხმარებიან. კირონ რიჩარდსონის და დენი ჰიგინბოთემის თამაში კი სამკითხაოა.

„მანჩესტერმა“ „ფულემთანაც“ ისე თუ გაიგიჟა თავი, როგორც ერთი კვირის წინ ნიუკასლში (5:1), კარგი დღე არც ლონდონელებს დაადგებათ. ალექს ფერგიუსონის გუნდმა „ფულემს“ ბოლო ხუთივე შეხვედრა მოუგო.

ზედიზედ ექვსის წამგები „რედინგი“ დიდი ნაბიჯებით მირბის ქვედა ლიგისკენ და დღეს „მიდლსბრო“ ალბათ მეშვიდე მარცხს მიუთვლის. ბოროელებმა წინა ტურში „ლივერპულთან“ სტუმრად წაგებულ მატჩში (3:2) საკმაოდ კარგად ითამაშეს და რედინგელებთან გამარჯვება არ უნდა გაუჭირდეთ. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული ჯერემი ალიადიერი დააკლდებათ.

„ნიუკასლი“ ისეა არეული, რომ შეიძლება მალე „რედინგს“ დაეწიოს და გაასწროს კიდეც. კევინ კიგანის ხელში „კაჭკაჭებს“ უკეთესობისა არაფერი ეტყობათ. ბოლო ორ მატჩში გუნდმა 9 გოლი გაუშვა, დღეს კი „ბლექბერნს“ დაუხვდება, რომელთანაც შარშან და შარშანწინ შინ წააგო. ნიუკასლელებს შეი გივენი და სტივ კარი ვერ დაეხმარებიან, მარკ ვიდუკა, ემრე და ობაფემი მარტინსი კი ან ითამაშებენ, ან ვერა.

ლონდონურ დერბიში „ვესტ ჰემი“ „ჩელსის“ დაეჯახება, რომელიც ლიგის თასის ფინალში „ტოტენჰემთან“ დამარცხდა. ჟოზე მაურინიუს მწვრთნელობისას „არისტოკრატებმა“ „ჩაქუჩებს“ სტუმრად ორჯერ სძლიეს და ვნახოთ, რა გამოუვა ავრაამ გრანტს.

„მანჩესტერ სიტის“ სამი ტურია, შინ არ მოუგია და „უიგანთან“ ეცდება ნავსის გატეხვას. ბოლო ორ სეზონში უიგანელებმა მანჩესტერში ერთნაირი ანგარიშით (1:0) იმარჯვეს. „სიტის“ ტრავმირებული ჰყავს მცველი მიკა რიჩარდსი, ხოლო ნახევარმცველი მარტინ პეტროვი დასჯილია.

ხვალ „ლივერპული“ ბოლტონში ჩაბრძანდება, საიდანაც, ოთხი წელია, გამარჯვებული არ დაბრუნებულა, საუცხოო ფორმაში მყოფი „ევერტონი“ კი „პორტსმუთს“ უმასპინძლებს. აღსანიშნავია, რომ ევერტონელებს უკვე ზედიზედ ოთხ მატჩში გოლი არ გაუშვიათ.

**ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | 2:2 | 1:0 | | | | 1:0 | 3:1 | 2:0 | 2:0 | 2:1 | | 3:0 | 3:2 | 2:0 | 2:0 | 1:1 | | 2:1 | 5:0 | 26 | 19 | 6 | 1 | 54:18 | 63 | 12 | 2 | 0 | 31:8 | 38 | 7 | 4 | 1 | 23:10 | 25 |
| 2 | მანჩესტერი | | | 2:0 | 2:1 | | | 1:2 | 2:0 | 2:0 | | 1:0 | 4:1 | 6:0 | 1:0 | | 4:0 | 1:0 | 0:0 | 2:0 | 4:1 | 26 | 18 | 4 | 4 | 50:14 | 58 | 12 | 1 | 1 | 32:5 | 37 | 6 | 3 | 3 | 18:9 | 21 |
| 3 | ჩელსი | | | | 1:1 | 0:0 | 4:4 | 6:0 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 2:0 | | 2:1 | 2:0 | | | 3:2 | 1:0 | 0:0 | | 26 | 16 | 7 | 3 | 38:17 | 55 | 8 | 5 | 0 | 23:8 | 29 | 8 | 2 | 3 | 15:9 | 26 |
| 4 | ევერტონი | 1:4 | 0:1 | | | 1:2 | | 1:0 | | 1:1 | | 0:0 | 2:0 | | 7:1 | 2:0 | 2:1 | 3:1 | 1:0 | 3:0 | | 26 | 14 | 5 | 7 | 41:23 | 47 | 8 | 2 | 3 | 24:11 | 26 | 6 | 3 | 4 | 17:12 | 21 |
| 5 | ლივერპული | 1:1 | 0:1 | 1:1 | | | 2:2 | | 4:1 | | | 2:2 | | | 3:0 | 4:0 | 1:1 | 0:0 | | 2:0 | 6:0 | 25 | 11 | 11 | 3 | 40:17 | 44 | 5 | 6 | 1 | 26:9 | 21 | 6 | 5 | 2 | 14:8 | 23 |
| 6 | ასტონ ვილა | 1:2 | 1:4 | 2:0 | 2:0 | 1:2 | | 1:1 | 1:3 | 1:1 | 1:0 | 2:1 | | 4:1 | | | | | 3:1 | 2:1 | 2:0 | 26 | 12 | 8 | 6 | 48:34 | 44 | 8 | 2 | 4 | 24:17 | 26 | 4 | 6 | 2 | 24:17 | 18 |
| 7 | სიტი | 1:3 | 1:0 | | | 0:0 | 1:0 | | | 2:2 | 1:1 | | 3:1 | 3:1 | 1:0 | 4:2 | | 1:0 | 2:1 | | 1:0 | 26 | 12 | 8 | 6 | 34:29 | 44 | 9 | 3 | 1 | 21:11 | 30 | 3 | 5 | 5 | 13:18 | 14 |
| 8 | პორტსმუთი | 0:0 | 1:1 | 1:1 | 0:0 | 0:0 | | 0:0 | | | 0:0 | 0:1 | 0:1 | | | 3:1 | | | 7:4 | | 3:1 | 26 | 11 | 8 | 7 | 36:26 | 41 | 3 | 7 | 2 | 15:10 | 16 | 8 | 1 | 5 | 21:16 | 25 |
| 9 | ბლექბერნი | 1:1 | | 0:1 | 0:0 | 0:0 | 0:4 | 1:0 | 0:1 | | 0:1 | | 1:1 | 3:1 | 1:0 | | | 2:1 | 4:2 | | | 26 | 10 | 9 | 7 | 32:33 | 39 | 5 | 4 | 4 | 13:13 | 19 | 5 | 5 | 3 | 19:20 | 20 |
| 10 | ვესტ ჰემი | 0:1 | 2:1 | | 0:2 | 1:0 | | 0:2 | | | | 1:1 | 3:0 | | 3:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 1:1 | 2:1 | | 25 | 10 | 7 | 8 | 30:23 | 37 | 5 | 5 | 3 | 16:13 | 20 | 5 | 2 | 5 | 14:10 | 17 |
| 11 | ტოტენჰემი | 1:3 | 1:1 | | 1:3 | | 4:4 | 2:1 | | 1:2 | | | | | 2:0 | | 4:0 | 2:3 | 6:4 | 5:1 | 4:0 | 26 | 8 | 8 | 10 | 48:41 | 32 | 6 | 2 | 4 | 33:22 | 20 | 2 | 6 | 6 | 15:19 | 12 |
| 12 | მიდლსბრო | 2:1 | | 0:2 | 0:2 | 1:1 | 0:3 | | | 1:2 | 1:2 | 1:1 | | 2:2 | 2:2 | | 1:0 | 2:0 | | 1:0 | | 26 | 7 | 8 | 11 | 23:38 | 29 | 4 | 4 | 5 | 14:18 | 16 | 3 | 4 | 6 | 9:20 | 13 |
| 13 | ნიუკასლი | 1:1 | | | 3:2 | 0:3 | 0:0 | 0:2 | 1:4 | | 3:1 | 3:1 | 1:1 | | | 0:0 | 1:0 | 2:1 | | | 2:2 | 26 | 7 | 7 | 12 | 29:47 | 28 | 5 | 5 | 3 | 17:18 | 20 | 2 | 2 | 9 | 12:29 | 8 |
| 14 | სანდერლენდი | | 0:4 | | | 0:2 | 1:1 | | 2:0 | 1:2 | | 1:0 | | 1:1 | | 3:1 | 2:0 | 2:0 | 2:1 | 1:1 | 1:0 | 26 | 7 | 5 | 14 | 26:45 | 26 | 7 | 3 | 3 | 17:13 | 24 | 0 | 2 | 11 | 9:32 | 2 |
| 15 | ბოლტონი | | 1:0 | 0:1 | 1:2 | | 1:1 | | 0:1 | 1:2 | | 1:1 | 0:0 | 1:3 | | | 4:1 | 3:0 | 3:0 | 0:0 | 1:0 | 26 | 6 | 7 | 13 | 26:35 | 25 | 5 | 4 | 5 | 17:12 | 19 | 1 | 3 | 8 | 9:23 | 6 |
| 16 | უიგანი | | | 0:2 | 1:2 | 0:1 | 1:2 | 1:1 | 0:2 | 5:3 | 1:0 | | 1:0 | 1:0 | 3:0 | | | | | 1:1 | | 26 | 6 | 5 | 15 | 24:42 | 23 | 5 | 2 | 5 | 15:14 | 17 | 1 | 3 | 10 | 9:28 | 6 |
| 17 | ბირმინგემი | | 0:1 | 0:1 | | | 1:2 | | 0:2 | | 0:1 | | 3:0 | | 2:2 | 1:0 | 3:2 | | 1:1 | 1:1 | 1:1 | 26 | 5 | 7 | 14 | 25:38 | 22 | 3 | 4 | 5 | 13:14 | 13 | 2 | 3 | 9 | 12:24 | 9 |
| 18 | რედინგი | 1:3 | 0:2 | 1:2 | 1:0 | 3:1 | | | 0:2 | | 0:3 | | 1:1 | 2:1 | 2:1 | 0:2 | 2:1 | | | | 1:0 | 26 | 6 | 4 | 16 | 30:53 | 22 | 6 | 1 | 6 | 14:19 | 19 | 0 | 3 | 10 | 16:34 | 3 |
| 19 | ფულემი | 0:3 | | 1:2 | | | 2:1 | 3:3 | 0:2 | 2:2 | | 3:3 | 1:2 | 0:1 | | 2:1 | 1:1 | | 3:1 | | 0:0 | 26 | 3 | 10 | 13 | 25:44 | 19 | 3 | 5 | 5 | 18:22 | 14 | 0 | 5 | 8 | 7:22 | 5 |
| 20 | დერბი | | | 0:2 | 0:2 | 1:2 | | 1:1 | 2:2 | 1:2 | 0:5 | 0:3 | 0:1 | 1:0 | | 1:1 | 0:1 | 1:2 | | | | 26 | 1 | 6 | 19 | 13:55 | 9 | 1 | 3 | 9 | 8:24 | 6 | 0 | 3 | 10 | 5:31 | 3 |

# თომასრავაზე გაჩერდა



**დანიელი** მცველი თომას ჰელვეგი 36 წლის ასაკში სანაკრებო ფეხბურთს თავს ანებებს.

„ბოლო 14 წლის განმავლობაში დანიის ეროვნული გუნდი ჩემი ცხოვრების დიდ ნაწილს შეადგენდა — უთხრა ჰელვეგმა ჟურნალისტებს — ასე რომ, მასთან გამოთხოვება ჩემთვის ძალიან ძნელი საქმეა".

თავისი პირველი სანაკრებო თამაში დანიელმა 1994 წელს უნგრეთის ნაკრების წინააღმდეგ ჩაატარა. ღვაწლმოსილმა ვეტერანმა ეროვნულ გუნდში სულ 108-ჯერ ითამაშა. 2004-2007 წლებში ჰელვეგი ნაკრების კაპიტანიც გახლდათ.

ხოლო, რაც შეეხება საკლუბო ფეხბურთს, აქ ჰელვეგი ჯერ კერკეტი კაკალივით არის. იგი დანიური სუპერლიგის კლუბ „ოდენსეში" გამოდის.

**პაპუნა ძიდია**



ფილიპ დეგენი (№26) მალე დაბრუნდება

# მესამე და სამართალი

**„დორტმუნდისა"** და შვეიცარიის ნაკრების მცველმა ფილიპ დეგენმა საზარდულის ოპერაცია გაიკეთა და, სავარაუდოდ, ამიერიდან საქმეები კარგად უნდა წაუვიდეს. ცნობისთვის: 25 წლის მოთამაშეს ამ სეზონში უკვე მესამედ მოუწია საოპერაციო მაგიდაზე დაწოლა. მას, ჯერ იყო და, კუნთის პრობლემა აწუხებდა, მერე კი კოჭიც გაუხდა სამკურნალო. ნამდვილი ბედის ირონია იყო, შვეიცარიელი მეორე ოპერაციის შემდეგ მოედანზე ახალი დაბრუნებული გახლდათ, საზარდულის ტკივილმაც რომ შეაწუხა.

მესამე ოპერაციის შემდეგ დეგენს სამი ან ოთხი კვირა გაუცდება.

„დორტმუნდის" მწვრთნელი თომას დოლი: „იმედი მაქვს, რომ ფილიპმა საბოლოოდ სძლია პრობლემებს და მალე დაგვიბრუნდება".

ფილიპ დეგენი „დორტმუნდამდე" „ბაზელში" გამოდიოდა. ამ სეზონში მან ბუნდესლიგაში მხოლოდ 8 შეხვედრა ჩაატარა.

**პაპუნა ძიდია**

| XXII ტური | | |
|---|---|---|
| **გუშინ** | | |
| ჰერტა | : | დუისბურგი |
| წუხელ გვიან დამთავრდა (იხ. მე-2 გვერდზე) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა | | |
| **დღეს** | | |
| შალკე | : | ბაიერნი |
| ჰანოვერი | : | ნიურნბერგი |
| ვერდერი | : | დორტმუნდი |
| ჰანზა | : | არმინია |
| კარლსრუე | : | ვოლფსბურგი |
| **ხვალ** | | |
| ბოხუმი | : | ლევერკუზენი |
| ჰამბურგი | : | აინტრახტი |
| კოტბუსი | : | შტუტგარტი გადაიდო |

# გერმანია

# ჯახი ოჯახური

**„ზედიზედ** ორი მარცხი ძალიან ცუდია, მაგრამ უნდა დავივიწყოთ და „ბაიერნთან" მოსაგებად ვიბრძოლოთ. ეს მნიშვნელოვანია ფეხბურთელებისთვის, კლუბისთვის, ჩვენი ოჯახებისთვის და, ბოლოს და ბოლოს, ღირსების ამბავია" — თქვა „შალკეს" მცველმა მარსელო ბორდონმა.

„შალკემ" მიჯრით ორ ტურში წააგო — ჯერ შინ „ვოლფსბურგთან", მერე კი სტუმრად „ლევერკუზენთან". შედეგად, გუნდი „ბაიერნს" 9 ქულით ჩამორჩა და საჩემპიონო შანსიც შეუმცირდა. „შალკეს" მწვრთნელ მირკო სლომკას, „ბილდის" ცნობით, შეფებმა ულტიმატუმი წაუყენეს — მომდევნო ორ მატჩს თუ წააგებ, მოგხსნითო. „ხუმარები" დღეს „ბაიერნს" მასპინძლობენ, ხოლო ოთხშაბათს „პორტუს" ესტუმრებიან.

„შალკე" „ბაიერნისთვის" კერკეტი კაკალია. ბოლო 15 მატჩში მიუნხენელებმა მხოლოდ ოთხჯერ იმარჯვეს და მათ შორის გელზენკირხენში ერთი მატჩიც არ მოუგიათ.

ოტმარ ჰიცფელდის გუნდმა ოთხშაბათს თასის მეოთხედფინალში „მიუნხენთან" 120-წუთიანი ომი გადაიტანა. „ვფიქრობ, რომ „შალკესთან" გამარჯვების შანსი გვაქვს. მართალია, ორსაათიანმა მატჩმა დაგვღალა, მაგრამ ბიჭებმა ძალების აღდგენა მოასწრეს და გელზენკირხენში მოსაგებად ვითამაშებთ" — განაცხადა მწრთნელმა.

დისკვალიფიკაციის გამო მასპინძლებს ჯერმეინ ჯონსი, სტუმრებს კი მარკ ვან ბომელი დააკლდებათ.

მოყოჩაღებული „დორტმუნდი" ბრემენის „ვერდერს" ეწვევა, რომელსაც პირველ წრეში 3:0 მოუგო. დორტმუნდელებმა ჩემპიონატში მიჯრით ორ ტურში იმარჯვეს, სამშაბათს კი თასის მეოთხედფინალში „ჰოფენჰაიმსაც" აჯობეს 3:1.

„ვერდერს" დისკვალიფიცირებული ჰყავს დიეგო, ხოლო პასანენი, ფრინგსი და ვომე ტრავმირებულნი არიან. „დორტმუნდს" დასჯილი დედე ვერ დაეხმარება, ვაიდენფელერი, კრინგე და ბლაშჩიკოვსკი ჯერ არ გამოკეთებულან.

კარგ ფორმაშია ფელიქს მაგათის „ვოლფსბურგიც". გუნდი უკვე ხუთი ტურია, არ დამარცხებულა და ამ ხუთიდან ოთხი მატჩი მოიგო. ამას დავუმატოთ თასზე „ჰამბურგის" ძლევაც. აი, ასეთი „მგლები" ესტუმრებიან „კარლსრუეს" და გამარჯვების შემთხვევაში ცხრილში გადაასწრებენ. მასპინძელთა ქართველი ალექსანდრე იაშვილი „კიკერის" ვერსიით კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნება.

თასზე „კარლ ცაისთან" შერცხვენილი „შტუტგარტი" ბოლოადგილოსან „კოტბუსს" უნდა შეხვედროდა, რომელმაც ზედიზედ ორი საშინაო მატჩი წააგო და ცალი ფეხით მეორე ბუნდესლიგაში იყო. თუმცა საქმეში უამინდობა ჩაერია და თამაში გადაიდო.

ხუთი ტურია, არ მოუგიათ „ჰანოვერს" და „ნიურნბერგს". ეს გუნდები დღეს ერთმანეთს შეხვდებიან და ნავსის გატეხვას შეეცდებიან. ამ ორზე უარეს დღეშია „არმინია", რაკი მიჯრით ოთხი მატჩი წააგო და იმითაც გამოირჩევა, რომ ყველაზე მეტი (44) გოლი აქვს გაშვებული. არმინიელები როსტოკში „ჰანზას" ესტუმრებიან, ვისაც სამი ქულით ჩამორჩებიან.

შინ მხოლოდ ერთი მატჩის წამგები „ბოხუმი" „ლევერკუზენს" დაუხვდება, რომელმაც ბოლო ორ გასვლით შეხვედრაში ოთხი ქულა მიითვალა. ბოხუმელებმა ერთი კვირის წინ „ჰანოვერი" გაისტუმრეს უქულოდ და ზედიზედ მეორე საშინაო მატჩის მოგებას გეგმავენ. მასპინძლებს დისკვალიფიცირებული შესტაკი დააკლდებათ, ბეხმანი და სანდი კი ტრავმირებულნი არიან. „ლევერკუზენს" მხოლოდ ბულიკინი ჰყავს დაშავებული, ხოლო დანარჩენები ჯანს არ უჩივიან.

წინა ტურში „ვერდერის" მძლეველი „აინტრახტი" ჰამბურგში ჩაბრძანდება. ჰუუბ სტევენსის გუნდი საკუთარ მოედანზე ამ სეზონში არ დამარცხებულა და ალბათ, ფრანკფურტელებსაც გაუჭირდებათ ჰამბურგიდან სამი ქულის წაღება.



მიუნხენური დერბის შემდეგ „ბაიერნი" „შალკეს" კარგი განწყობით ესტუმრება

**ვაჟა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | | 1:1 | | | 1:1 | | 2:1 | 0:0 | 3:0 | | | | | 3:0 | | 3:0 | 5:0 | 0:0 |
| 2 | ვერდერი | 0:4 | | 2:1 | 5:2 | | 4:0 | | 2:1 | | 4:1 | 3:2 | | 1:2 | 1:0 | 8:1 | 2:0 | | |
| 3 | ჰამბურგი | 1:1 | | | 1:0 | | | 2:2 | | 1:1 | 4:1 | 2:1 | | 3:0 | 2:0 | | 1:0 | 0:0 | |
| 4 | ლევერკუზენი | 0:1 | | 1:1 | | | 3:0 | | | | | | 2:2 | 2:0 | 3:0 | 4:0 | | 0:0 | 4:1 |
| 5 | შალკე | | 1:1 | 1:1 | 1:1 | | 0:2 | 1:2 | | | 4:1 | 1:0 | 4:1 | 1:0 | | 3:0 | 2:1 | | |
| 6 | კარლსრუე | 1:4 | | 1:1 | 2:2 | | | | | 1:2 | 1:0 | 2:1 | 3:1 | | | 0:0 | 2:0 | | 1:0 |
| 7 | ვოლფსბურგი | | 1:1 | | 1:2 | 1:1 | 1:2 | | 2:2 | | | | 4:0 | | 1:0 | 1:3 | 3:1 | | 2:1 |
| 8 | აინტრახტი | | | 2:1 | 2:1 | 2:2 | 0:1 | | | 0:0 | 1:4 | 1:0 | | | 1:0 | 2:1 | | | |
| 9 | ჰანოვერი | 0:3 | 4:3 | 0:1 | 0:3 | 2:3 | 2:2 | 2:2 | | | | | 2:1 | 3:2 | | | | | 2:1 |
| 10 | შტუტგარტი | 3:1 | | | 1:0 | 2:2 | | 3:1 | | 0:2 | | 1:3 | 1:2 | 1:0 | | | | 3:0 | 1:0 |
| 11 | ჰერტა | 0:0 | | | 0:3 | | | 2:1 | 0:3 | 1:0 | 3:1 | | 3:2 | 2:0 | 1:3 | 1:0 | | 0:0 | |
| 12 | დორტმუნდი | 0:0 | 3:0 | 0:3 | | 2:3 | | | 1:1 | | | | | 2:1 | | 6:1 | | 3:0 | 1:3 |
| 13 | ბოხუმი | 1:2 | 2:2 | 2:1 | | | 2:2 | 5:3 | 0:0 | | | | | | | 3:0 | 3:3 | 3:3 | |
| 14 | ჰანზა | 1:2 | | | | 1:1 | 0:0 | | 1:0 | 0:3 | 2:1 | | 0:1 | 2:0 | | | 1:2 | 3:2 | 2:0 |
| 15 | არმინია | 0:1 | | 0:1 | | | | 0:1 | 2:2 | 0:2 | 2:0 | 2:0 | | | 4:2 | | 3:1 | 1:1 | |
| 16 | ნიურნბერგი | | 0:1 | | 1:2 | | 0:2 | | 5:1 | 2:2 | 0:1 | 2:1 | 2:0 | | 1:1 | | | | |
| 17 | კოტბუსი | | 0:2 | | 2:3 | 1:0 | 2:0 | 1:2 | 2:2 | 5:1 | | | 0:2 | 1:2 | | | 1:1 | | 1:2 |
| 18 | დუისბურგი | | 1:3 | 0:1 | | 0:2 | | 1:3 | 0:1 | | 2:3 | 1:2 | 3:3 | 0:2 | | 3:0 | 1:0 | | |

| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 20 | 12 | 7 | 1 | 37:10 | 43 | 5 | 4 | 0 | 18:3 | 19 | 7 | 3 | 1 | 19:7 | 24 |
| 2 | 20 | 12 | 4 | 4 | 46:27 | 40 | 9 | 0 | 2 | 32:14 | 27 | 3 | 4 | 2 | 14:13 | 13 |
| 3 | 20 | 10 | 7 | 3 | 29:15 | 37 | 6 | 4 | 0 | 17:6 | 22 | 4 | 3 | 3 | 12:9 | 15 |
| 4 | 20 | 10 | 5 | 5 | 38:21 | 35 | 5 | 3 | 1 | 19:5 | 18 | 5 | 2 | 4 | 19:16 | 17 |
| 5 | 20 | 9 | 8 | 3 | 34:22 | 35 | 6 | 3 | 2 | 19:10 | 21 | 3 | 5 | 1 | 15:12 | 14 |
| 6 | 20 | 9 | 6 | 5 | 25:25 | 33 | 5 | 3 | 2 | 14:11 | 18 | 4 | 3 | 3 | 11:14 | 15 |
| 7 | 20 | 8 | 5 | 7 | 35:32 | 29 | 4 | 3 | 3 | 17:13 | 15 | 4 | 2 | 4 | 18:19 | 14 |
| 8 | 20 | 7 | 8 | 5 | 24:25 | 29 | 5 | 2 | 2 | 11:10 | 17 | 2 | 6 | 3 | 13:15 | 12 |
| 9 | 20 | 8 | 5 | 7 | 30:34 | 29 | 4 | 2 | 4 | 17:21 | 14 | 4 | 3 | 3 | 13:13 | 15 |
| 10 | 20 | 9 | 1 | 10 | 29:34 | 28 | 6 | 1 | 3 | 16:11 | 19 | 3 | 0 | 7 | 13:23 | 9 |
| 11 | 20 | 8 | 2 | 10 | 23:28 | 26 | 6 | 2 | 3 | 13:13 | 20 | 2 | 0 | 7 | 10:15 | 6 |
| 12 | 20 | 7 | 4 | 9 | 33:36 | 25 | 4 | 2 | 3 | 18:12 | 14 | 3 | 2 | 6 | 15:24 | 11 |
| 13 | 20 | 6 | 5 | 9 | 30:34 | 23 | 3 | 5 | 1 | 21:16 | 14 | 3 | 0 | 8 | 9:18 | 9 |
| 14 | 20 | 6 | 3 | 11 | 19:29 | 21 | 5 | 2 | 4 | 13:12 | 17 | 1 | 1 | 7 | 6:17 | 4 |
| 15 | 20 | 5 | 3 | 12 | 20:42 | 18 | 4 | 2 | 4 | 14:11 | 14 | 1 | 1 | 8 | 6:31 | 4 |
| 16 | 20 | 4 | 4 | 12 | 22:33 | 16 | 3 | 2 | 4 | 13:11 | 11 | 1 | 2 | 8 | 9:22 | 5 |
| 17 | 20 | 3 | 7 | 10 | 22:35 | 16 | 3 | 2 | 6 | 16:17 | 11 | 0 | 5 | 4 | 6:18 | 5 |
| 18 | 20 | 4 | 2 | 14 | 20:34 | 14 | 2 | 1 | 8 | 12:20 | 7 | 2 | 1 | 6 | 8:14 | 7 |

# პალადინო რჩება



**მიუხედავად** იმისა, რომ რაფაელე პალადინო იშვიათად ხვდება „იუვენტუსის" ძირითად შემადგენლობაში და ამის გამო, გარკვეული პრეტენზიებიც აქვს, იგი სიამოვნებით დათანხმებულა კლუბთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას. ამ შეთანხმების მიხედვით, ნიჭიერი თავდამსხმელი 2011 წლამდე „ბებერი ქალბატონის" საკუთრებაა.

„პალადინო ბოლო დროს მშვენივრად თამაშობს და იმ ნიჭის გამოვლენას იწყებს, რომელშიც ეჭვი არასოდეს გვეპარებოდა. იგი ბრწყინვალე ახალგაზრდაა და მისგან ბევრს ველით, როგორც ჩვენი კლუბის, ასევე ეროვნული ნაკრების მაისურით თამაშისას" — თქვა „ბიანკონერის" სპორტულმა დირექტორმა ალესიო სეკომ.

სეკომ სხვა საკითხებზეც ისაუბრა. კერძოდ, უარყო მითქმა-მოთქმა, თითქოს „იუვენტუსს" ლონდონის „არსენალის" ნახევარმცველის მატიე ფლამინის ყიდვა სდომებოდეს.

„მისი შეძენა ამჟამად განზრახული არ გვაქვს. ჟან-კლოდ ბლანი უკვე ესაუბრა „არსენალის" დირექტორს ტელეფონით და აუხსნა, რომ „არსენალს" ფლამინისთან ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებაში ხელს არ შევუშლით. ეს იმიტომ გავაკეთეთ, რომ „მეთოფეებთან" კარგი ურთიერთობის შენარჩუნება გვსურს" — განაცხადა „იუვეს" სპორტულმა დირექტორმა.

იტალიური პრესის ახალი ინფორმაციით კი, „ბიანკონერის" უფროსობა ნახევარდაცვის გასაძლიერებლად სამ კანდიდატზე ფიქრობს — ნეაპოლელ მარეკ ჰამშიკზე, ჩელსელ ფრენკ ლამპარდსა და ტულუზელ იოჰან ელმანდერზე.

**გიორგი ძაძაბაძე**

# კაკა — 2013



**2007 წელს** ფაქტობრივად ყველა პრესტიჟული ჯილდოს მომგებმა კაკამ „მილანთან" კონტრაქტი 2013 წლამდე გაახანგრძლივა. მხარეებს შორის არსებულ წინა შეთანხმებას ვადა 2011 წელს გასდიოდა, მაგრამ ამ ნაბიჯით ბრაზილიელმაც და „როსონერიმაც" ერთმანეთისადმი ერთგულებას გაუსვეს ხაზი.

მიუხედავად მადრიდის „რეალისა" და სხვა კლუბების დიდი ინტერესისა, კაკას არაერთხელ უთქვამს — არაფერს გამოვრიცხავ, მაგრამ „მილანში" ძალიან ბედნიერი ვარ და კარიერის აქ დასრულება მინდაო. ბრაზილიელს მომავალში „როსონერის" კაპიტნობაც სწადია.

„რიკიმ ახლახან თქვა, მინდა, „მილანის" სიმბოლო გავხდეო. კაკა უკვე არის ჩვენი სიმბოლო და მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე. ორივე მხარემ სიამოვნებით გადავწყვიტეთ ახალი, უფრო ხანგრძლივი კონტრაქტის გაფორმება. ასე გამოდის, რომ კაკა კარიერის ბოლომდე ჩვენთან რჩება. თუ იგი 2013 წელს კვლავ ითამაშებს ფეხბურთს, მორიგ კონტრაქტს ასევე დიდი სიამოვნებით გავუფორმებთ" — აღნიშნა „როსონერის" ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ.

**გიორგი ძაძაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| რომა | : | პარმა |
| მილანი | : | ლაციო |
| **ხვალ** | | |
| უდინეზე | : | ატალანტა |
| ლივორნო | : | კატანია |
| იუვენტუსი | : | ფიორენტინა |
| კალიარი | : | ჯენოა |
| ნაპოლი | : | ინტერი |
| რეჯინა | : | პალერმო |
| ემპოლი | : | სიენა |
| სამპდორია | : | ტორინო |

# იტალია

# ვინ დაკრეფს იებს ტურინში?

**იტალიაში** ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული მეტოქეები, „იუვენტუსი" და „ფიორენტინა", ერთმანეთში ურთიერთობას ტურინის „სტადიო ოლიმპიკოზე" გაარკვევენ. ამ მატჩის შედეგი რომ მნიშვნელოვანია, სატურნირო ცხრილიც მეტყველებს.

„იების" პროგრამა-მინიმუმი ალბათ ფრე იქნება. ფლორენციელებს ფონს გასვლა ლიდერ ადრიან მუტუსა და ასევე მნიშვნელოვან ნახევარმცველ ფრანკო სემიოლის გარეშე მოუწევთ.

„იუვენტუსთან" სტუმრად თამაში რომ ძნელია, ეს მიმდინარე სეზონშიც კარგად ჩანს. „ბებერმა ქალბატონმა" „სტადიო ოლიმპიკოზე" ოდენ 4 გოლი გაუშვა და, ამ მხრივ, სერია A-ში საუკეთესო მაჩვენებელი აქვს.

„ბიანკონერის" ორი მატჩით დისკვალიფიცირებული პაველ ნედვედი, ასევე კრისტიანო ძანეტი და ჯორჯო კიელინი არ ეყოლება. ვინჩენცო იაკვინტას თამაში სათუოა.

„ეს შეხვედრა ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს — როგორც გუნდისთვის, ასევე მთელი ქალაქისთვის. დიდ კლუბებთან ყოველთვის წარმატებულად ვთამაშობდით. თუ ცოტა უფრო მწვავედ გავირჯებით, მოგებას აუცილებლად შევძლებთ" — თქვა „იების" ნახევარმცველმა მარკო დონადელმა.

მერე რა, რომ მიმდინარე სერია A-ში „მილანისა" და „ლაციოს" საქმეები არცთუ კარგად მიდის. მათი ურთიერთშეხვედრა ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევს და, ცხადია, ახლაც ასეა.

ამ ჩემპიონატში „ლაციოს" ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სტუმრად სუსტი თამაშია. დედაქალაქელებს მხოლოდ ერთი საგარეო მოგება აქვთ, სტუმრად „მილანთან" კი 1989 წლის მერე არ უმარჯვიათ. მაშინ პაოლო მალდინიმ საკუთარ კარში შეაგდო გოლი...

„როსონერის" ჯუზეპე ფავალი ჰყავს დისკვალიფიცირებული. ჯენარო გატუზოს, კახა კალაძისა და ალესანდრო ნესტას თამაში სათუოა. „ლაციოს" შემადგენლობა საბრძოლოა.

სერია A-ში 2007 წლის 2 თებერვლის მერე დაუმარცხებელი „ინტერი" ცალი ხელით უკვე მორიგ სკუდეტოს ეპატრონება, მაგრამ საქმეს ბოლომდე მიყვანა უნდა. „ნერაძურის" შემდეგი გაჩერება ნეაპოლია. როცა მილანელები „სტადიო სან პაოლოს" ბოლოჯერ ესტუმრნენ (2001 წელს), 0:1 დამარცხდნენ.

„ინტერის" ლაზარეთში ვალტერ სამუელს, ივან კორდობას, ხულიო რიკარდო კრუზსა და ზლატან იბრაჰიმოვიჩს მაქსველიც შეუერთდა. „ნაპოლის" კვლავ აკლია ძირითადი მეკარე ჯენარო იეცო.

„რომა" იმ „პარმას" მასპინძლობს, რომლის სტუმრად მოგებული მატჩების გრაფაში, „კატანიასა" და „რეჯინას" დარად, კვლავაც „0" წერია.

ფილიპ მექსესი დისკვალიფიცირებულია, მარკო კასეტი დაახლოებით სამი კვირა მაინც ვერ ითამაშებს, ხოლო ფრანჩესკო ტოტის, დავიდ პისაროსა და კრისტიან პანუჩის მცირე ტრავმები რომ არ გაუმიზეზდეთ, ლუჩანო სპალეტი ჩემპიონთა ლიგაში „რეალთან" მნიშვნელოვანი მატჩის წინ, მათ დაასვენებს. სტუმართა ერთადერთი დანაკლისი დომენიკო მორფეოა.

„ფრიულიზე" ერთმანეთს სერია A-ს ალბათ ორი ყველაზე ძნელადპროგნოზირებადი გუნდი ხვდება — „უდინეზე" „ატალანტას" მასპინძლობს. „ძებრეტეს" საკუთარი ქომაგების თვალწინ უკვე საკმაო ხანია, არ მოუგია და, წესით, ამის გაკეთება ახლაც უნდა გაუჭირდეს, რადგან ბრწყინვალე კრისტიანო დონის თაოსნობით, ბერგამოელები ახლა ჩინებულ ფორმაში არიან.

შესაძლოა, „ატალანტას" მორის კაროძიერი დააკლდეს. სხვათა შორის, იგი ამჟამად სერია A-ს ყველაზე უხეში მოთამაშეა — უკვე 12 ყვითელი და ერთი წითელი ბარათი აქვს მიღებული. არ იქნება ჯანპაოლო ბელინიც.

შემადგენლობის მხრივ, მასპინძლებს მეტვრად უფრო სერიოზული პრობლემები აქვთ. უდინელები რაფაელე დე მარტინოს, ასამოაგიანს, კრისტიან ობოდოს, ჯანდომენიკო მესტოსა და კრისტიან საპატას მოისაკლისებენ.

**გიორგი ძაძაბაძე**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | 1:1 | | | 2:1 | 1:1 | 3:0 | 4:1 | 2:1 | | 2:1 | 3:0 | 4:0 | 3:2 | | 1:0 | 2:0 | 2:0 | | |
| 2 | რომა | 1:4 | | 2:2 | 1:0 | | 2:1 | 2:0 | | | 1:0 | 4:4 | 3:2 | | | 3:0 | | 2:0 | | 2:0 | 2:0 |
| 3 | იუვენტუსი | 1:1 | 1:0 | | | | 0:1 | 0:0 | 1:0 | 1:0 | 5:0 | | | 0:0 | | 2:0 | 3:0 | | 5:1 | 4:0 | 1:1 |
| 4 | ფიორენტინა | 0:2 | 2:2 | 1:1 | | 0:1 | 1:2 | | | 2:2 | | 1:0 | | 2:1 | | 3:0 | 3:1 | 2:1 | 1:0 | | 5:1 |
| 5 | მილანი | | 0:1 | 0:0 | 1:1 | | | | 2:0 | | 2:1 | 5:2 | | 0:0 | 1:1 | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | | |
| 6 | უდინეზე | 0:0 | | 1:2 | | 0:1 | | 3:2 | 3:5 | | 1:1 | 0:5 | | 2:1 | 2:1 | 2:0 | 2:2 | | | 2:0 | |
| 7 | სამპდორია | 1:1 | | | 2:2 | 0:5 | | | 0:0 | 3:0 | 3:0 | 2:0 | 0:0 | | 3:0 | 1:0 | 3:0 | | | 3:0 | |
| 8 | ჯენოა | | 0:1 | | 0:0 | 0:3 | 3:2 | 0:1 | | 2:1 | 3:3 | 2:0 | | | 1:0 | 1:3 | | 2:1 | 1:1 | | 2:0 |
| 9 | ატალანტა | | 1:2 | | 2:2 | 2:1 | 0:0 | 4:1 | | | 1:3 | 5:1 | 2:1 | 2:2 | 2:0 | 2:2 | | | | 2:2 | 2:2 |
| 10 | პალერმო | 0:0 | 0:2 | | 2:0 | 2:1 | | | | | | 2:1 | 2:2 | 1:1 | 1:1 | 2:3 | 2:0 | | 1:0 | 1:1 | 2:1 |
| 11 | ნაპოლი | | | 3:1 | | | 3:1 | 2:0 | 1:2 | | | | 2:2 | 1:1 | 1:0 | | 1:3 | 2:0 | 1:0 | 1:1 | 0:2 |
| 12 | ლაციო | | | 2:3 | 0:1 | 1:5 | 0:1 | 2:1 | 1:2 | 3:0 | | | | 2:2 | 1:0 | | 0:0 | 2:0 | | 1:0 | 3:1 |
| 13 | ტორინო | | 0:0 | 0:1 | | | | 1:0 | 1:1 | | 3:1 | | 0:0 | | 4:4 | 1:1 | | 1:1 | 1:2 | 2:2 | 2:0 |
| 14 | პარმა | | 0:3 | 2:2 | 1:2 | 0:0 | 2:0 | | | 2:3 | | | | 2:0 | | 2:2 | 1:0 | 2:2 | 3:2 | 3:0 | 1:1 |
| 15 | სიენა | 2:3 | 3:0 | | | 1:1 | | 1:2 | | 1:1 | | 1:1 | 1:1 | 0:0 | | | 3:0 | 1:1 | 2:3 | 0:0 | 1:0 |
| 16 | ემპოლი | 0:2 | 2:2 | | 0:2 | | | | 1:1 | 0:1 | 3:1 | 0:0 | 1:0 | 0:0 | | | | 2:0 | | 1:1 | 4:1 |
| 17 | კატანია | 0:2 | | 1:1 | 0:1 | 1:1 | 2:0 | 2:0 | 0:0 | 1:2 | 3:1 | | | | 0:0 | | 1:0 | | 1:0 | | |
| 18 | ლივორნო | 2:2 | 1:1 | 1:3 | 0:3 | | 0:0 | 3:1 | 1:1 | 1:1 | 2:4 | 1:2 | 0:1 | | | | 1:0 | | | | |
| 19 | რეჯინა | 0:1 | 0:2 | 2:1 | 0:0 | 0:1 | 1:3 | | 2:0 | 1:1 | | | 1:1 | 1:3 | | | | 3:1 | 1:3 | | 2:0 |
| 20 | კალიარი | 0:2 | | 2:3 | | 1:2 | 0:1 | 0:3 | | | 0:1 | 2:1 | 1:0 | | 1:1 | 1:0 | | 1:1 | 0:0 | | |

| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | 25 | 18 | 7 | 0 | 50:15 | 61 | 11 | 2 | 0 | 30:8 | 35 | 7 | 5 | 0 | 20:7 | 26 |
| 2 | რომა | 25 | 15 | 7 | 3 | 42:24 | 52 | 9 | 2 | 1 | 25:13 | 29 | 6 | 5 | 2 | 17:11 | 23 |
| 3 | იუვენტუსი | 25 | 13 | 9 | 3 | 44:21 | 48 | 8 | 4 | 1 | 24:4 | 28 | 5 | 5 | 2 | 20:17 | 20 |
| 4 | ფიორენტინა | 25 | 12 | 8 | 5 | 37:23 | 44 | 7 | 3 | 3 | 23:14 | 24 | 5 | 5 | 2 | 14:9 | 20 |
| 5 | მილანი | 25 | 11 | 9 | 5 | 37:19 | 42 | 4 | 6 | 2 | 14:9 | 18 | 7 | 3 | 3 | 23:10 | 24 |
| 6 | უდინეზე | 25 | 10 | 6 | 9 | 31:35 | 36 | 5 | 3 | 4 | 18:20 | 18 | 5 | 3 | 5 | 13:15 | 18 |
| 7 | სამპდორია | 25 | 10 | 5 | 10 | 32:31 | 35 | 7 | 4 | 1 | 21:8 | 25 | 3 | 1 | 9 | 11:23 | 10 |
| 8 | ჯენოა | 25 | 9 | 8 | 8 | 30:33 | 35 | 6 | 3 | 4 | 17:16 | 21 | 3 | 5 | 4 | 13:17 | 14 |
| 9 | ატალანტა | 25 | 8 | 10 | 7 | 40:38 | 34 | 5 | 6 | 2 | 27:19 | 21 | 3 | 4 | 5 | 13:19 | 13 |
| 10 | პალერმო | 25 | 9 | 7 | 9 | 34:40 | 34 | 6 | 5 | 2 | 18:13 | 23 | 3 | 2 | 7 | 16:27 | 11 |
| 11 | ნაპოლი | 25 | 8 | 6 | 11 | 36:40 | 30 | 6 | 3 | 3 | 18:13 | 21 | 2 | 3 | 8 | 18:27 | 9 |
| 12 | ლაციო | 25 | 7 | 8 | 10 | 28:32 | 29 | 6 | 2 | 5 | 18:16 | 20 | 1 | 6 | 5 | 10:16 | 9 |
| 13 | ტორინო | 25 | 4 | 15 | 6 | 27:30 | 27 | 3 | 7 | 2 | 16:13 | 16 | 1 | 8 | 4 | 11:17 | 11 |
| 14 | პარმა | 25 | 5 | 10 | 10 | 31:37 | 25 | 5 | 5 | 3 | 21:17 | 20 | 0 | 5 | 7 | 10:20 | 5 |
| 15 | სიენა | 25 | 5 | 10 | 10 | 28:34 | 25 | 3 | 7 | 3 | 17:13 | 16 | 2 | 3 | 7 | 11:21 | 9 |
| 16 | ემპოლი | 25 | 6 | 7 | 12 | 21:32 | 25 | 4 | 5 | 3 | 14:11 | 17 | 2 | 2 | 9 | 7:21 | 8 |
| 17 | კატანია | 25 | 5 | 9 | 11 | 21:31 | 24 | 5 | 4 | 3 | 12:8 | 19 | 0 | 5 | 8 | 9:23 | 5 |
| 18 | ლივორნო | 25 | 5 | 8 | 12 | 26:39 | 23 | 2 | 5 | 5 | 13:19 | 11 | 3 | 3 | 7 | 13:20 | 12 |
| 19 | რეჯინა | 25 | 4 | 9 | 12 | 21:39 | 21 | 4 | 3 | 6 | 14:17 | 15 | 0 | 6 | 6 | 7:22 | 6 |
| 20 | კალიარი | 25 | 4 | 6 | 15 | 19:42 | 18 | 3 | 3 | 6 | 9:15 | 12 | 1 | 3 | 9 | 10:27 | 6 |

| XXVI ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ატლეტიკო | : | ბარსელონა |
| უელვა | : | რეალი |
| ესპანიოლი | : | ვალენსია |
| დეპორტივო | : | სევილია |
| ხვალ | | |
| ლევანტე | : | სარაგოსა |
| ვილიარეალი | : | ოსასუნა |
| ალმერია | : | ბილბაო |
| ვალიადოლიდი | : | რასინგი |
| ბეტისი | : | მურსია |
| ხეტაფე | : | მალიორკა |

# ესპანეთი
## არატრადიციული ტური

**ესპანური** პირველობის 25-ე ტური უჩვეულო რეჟიმში ჩატარდება. საქმე ისაა, რომ მომავალი კვირის სამშაბათ-ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალის საპასუხო მატჩები გაიმართება და ევროტატალიებისთვის უკეთ მომზადების საშუალების შესაქმნელად პრიმერადივიზიონის ხელმძღვანელობამ შაბათს ჩვეული ორი მატჩის ნაცვლად ოთხი შეხვედრის ჩატარება ბრძანა.

ტურის უმთავრესი მატჩი, რაღა თქმა უნდა, დედაქალაქურ „ვისენტე კალდერონზე" გაიმართება: „ატლეტიკო" „ბარსას" უმასპინძლებს. ხავიერ აგირეს გუნდი ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის საგზურისთვის იბრძვის და, ცხადია, დღეს 3 ქულის მოპოვებას ეცდება. თუმცა, ეს არცთუ იოლი საქმე იქნება — „ათლეტთა" მეტოქე ხომ თვით „ბარსაა", რომელსაც გაჩემპიონების ჩინებული შანსი დაუბრუნდა და ამ შანსის გამოყენებისთვის ყველაფერს გაიღებს. მოკლედ, თამაშს სატურნირო დატვირთვა არ აკლია. პლუს ამას, მადრიდელებს ჯერაც ვერ მოუშუშებიათ ის იარა, რომელიც შარშან კატალონიურმა გრანდმა მიაყენა. მაშინ ამ გუნდების მადრიდული დაპირისპირება „ბარსამ" 6:0 მოიგო...

დღევანდელ შეხვედრაში „ატლეტიკო" ტრავმების გამო პორტუგალიელ ნახევარმცველ სიმაოს, არგენტინელ მეკარე ფრანკოს, ბერძენ უკანახაზელ სეიტარიდისს და ბრაზილიელ საყრდენ მოტას მოისაკლისებს, ვისაც მუხლზე მესამე ოპერაციას ჩაუტარებენ. ფრანკ რაიკარდი მადრიდში რაფა მარკესს, ოლეგერს და სანტი ესკეროს ვერ დაიხმარს — სამივე დაშავებულია. აი, დეკუ და ტიერი ანრი კი ალბათ ძირითადში იქნებიან.

მიმდინარე გათამაშების ლიდერი მადრიდის „რეალი" „უელვას" ესტუმრება, რომელმაც დაუმარცხებლად ბოლო სამი მატჩი განვლო. „სამეფო კლუბს" კი პირიქით, ბოლო ორი საპრიმერო შეხვედრა წაგებული აქვს და ამ წარუმატებელი სერიის შეწყვეტას ეცდება. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ბერნდ შუსტერი უელვაში ვა-ბანკზე ვერ წავა: მისმა გუნდმა ჩემპიონატში ქულების ფლანგვით „ბარსა" ორქულიან დისტანციაზე კი დაიახლოვა, მაგრამ უკვე ოთხშაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე" „რომას" ძლევა აქვს დაგეგმილი. ანუ, ორ ფრონტზე ბრძოლა უაღრესად რთული რამ არის, თუმცა, „ბარსაც" იგივე დღეშია; თუ თვალებს დავხუჭავთ იმ ფაქტზე, რომ კატალონიელებს საჩემპიონთალიგო პრობლემები თითქმის მოგვარებული აქვთ.

მადრიდელთა სიტუაციას ფეხბურთელთა ტრავმიანობაც ამძიმებს. მიჩელ სალგადო, რობინიო, მარსელო, სნეიდერი, პეპე, სავიოლა, მეცელდერი, ვან ნისტელროი — აი, ასე გამოიყურება ლაზარეთში მყოფთა სია. ამ მხრივ უელველთა საქმე ცოტათი უკეთაა — კალვო და ხავი გერერო ტრავმირებულნი არიან, ხოლო ხესუს ვასკესი დისკვალიფიცირებულია.

ჩემპიონთა ლიგაში ესპანეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი „სევილიაა" და ეს გუნდი დღესდღეობით თავისი ფორმის პიკზეა ასული. ანდალუზიელებს სამშაბათს მშობლიურ „პისხუანზე" „ფენერბაჩესთან" მოუწევთ ანგარიშის გასწორება, დღეს კი მანუელ ხიმენესის ბიჭები გალისიაში „დეპორს" ესტუმრებიან, ვინც პრიმერაში დასარჩენად გააფთრებით იბრძვის. „სევილიას" ხუთი ტურია, ესპანეთში არ წაუგია, თანაც ბოლოხანს ეს გუნდი ძალზე შედეგიანად ათამაშდა — 9 გოლი წინა ორ მატჩში. „დეპორი" დღეს თავის ლიდერთაგანს, მექსიკელ გუარდადოს და კრისტიანს მოისაკლისებს, ხოლო „სევილიას" ლაზარეთში მხოლოდ ჩევანტონი და ხოსე კრესპოლა დარჩნენ.

„ესპანიოლი" და „ვალენსია" ევროთასებზე აღარ არიან, ასე რომ, დღევანდელი დაპირისპირებისთვის მშვიდად მოემზადებიან. აღსანიშნავია, რომ „ღამურებს" „მონჟუიკზე" 2004 წლის გაზაფხულის მერე არ წაუგიათ, თუმცა გასულ შემოდგომაზე შინ, „მესტალიაზე" „ესპანიოლთან" შეხვედრა კი დათმეს.

კატალონიელებს ამ უპრინციპულეს დაპირისპირებაში რაულ ტამუდო, კლემენტე როდრიგესი, და ლაკრუსი დააკლდებიან, ხოლო „ვალენსიას" — მორიენტესი და მიგელი.

ცხრილის მესამე ადგილზე მყოფი „ვილიარეალი" „ოსასუნას" უმასპინძლებს და „ელ მადრიგალზე" შარშანდელი შერცხვენისთვის (1:4) სამაგიეროს გადახდასაც უპირებს. „მყვინთავებს" ჯუზეპე როსი და ხოსიკო ვერ დაეხმარებიან, ხოლო პამპლონელებს — მიგელ ფლანიო, ხავიერ მარგაირასი, კორალესი, ვიანა და ბესუნარტეა.

„რასინგმა" სამეფო თასის ნახევარფინალის პირველ მატჩში „ხეტაფესთან" სტუმრად 1:3 წააგო, ხვალ კი ასევე გასვლაზე, არცთუ სტუმართმოყვარე „ხოსე ზორილაზე" ეცდება თავისი ძალის დამტკიცებას. თუმცა, ეს იოლი რომ არ იქნება, ნებისმიერი ესპანური გრანდი დაადასტურებს — ვალიადოლიდელი „ბულდოგები" შინიდან ქულებს იოლად არავის ატანენ. მასპინძლებს ხვალ კომე, ბუტელი, ალექსისი და კამაჩო ვერ დაეხმარებიან, ხოლო სანტანდერელები მხოლოდ ხორდი ლოპესს მოისაკლისებენ.

ბოლო დროს საუცხოოდ მოთამაშე „ალმერიას" „ბილბაოსთან" საშინაო მატჩი ელის. მასპინძლებს ორი კაცი ჰყავთ დაჯარიმებული: სისმა და ველკო პაუნოვიჩი, ხოლო ბასკები ალმერიაში ტრავმირებული დელ ორნოს, ტიკოსა და სუბიაურეს გარეშე ითამაშებენ.

მიქაელ ლაუდრუპის „ხეტაფე" „მალიორკას" გადაღლილი დახვდება — ხუთშაბათს მადრიდელებმა სამეფო თასის ნახევარფინალურ მატჩში „რასინგი" დაამარცხეს. ამასობაში, ლაუდრუპის ბიჭებს დასვენება არც „მალიორკასთან" მატჩის შემდეგ ელით — მომავალ ხუთშაბათს ეს გუნდი უეფას თასზე „ბენფიკას" უმასპინძლებს...

ხვალ „ხეტაფეს" ტრავმების გამო მარიო, პალიარდო, დავიდ სოუსა, გავილანი და კოზმინ კონტრა ვერ დაეხმარებიან, ხოლო ბალეარელების ბანაკში მხოლოდ ერთი კაცია დაშავებული — კამერუნელი შემტევი პიერ ვებო.

ვალენსიაში ერთმანეთს გასული ტურის ყველაზე უიღბლო გუნდები დაუპირისპირდებიან: „ლევანტე", რომელიც „კამპ ნოუზე" 1:5 განადგურდა, და „სარაგოსა", რომელიც „რამონ სანჩეს პისხუანზე" 0:5 შერცხვა. საინტერესოა, რომელი მათგანი მოახერხებს შოკური მდგომარეობიდან გამოსვლას, თუმცა ის კი დანამდვილებითაა ცნობილი, რომ არაგონელები ვალენსიას ორი დისკვალიფიცირებულის (კარლოს დიოგო და პეტერ ლუქსენი) და ორი ტრავმირებული (პაბლო აიმარი და ლუის კარტერო) ფეხბურთელის გარეშე ესტუმრება მაშინ, როცა „ლევანტე" მხოლოდ ორ ვეტერანს ვერ დაიხმარს — დამიანო ტომაზისა და შოთა არველაძეს.

მეტად პრინციპული მატჩი სევილიაშიც გაიმართება: „ბეტისი" და „მურსია" ელიტაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვიან და მათი ხვალინდელი შეხვედრის შედეგს უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ექნება. ანდალუზიელები ტრავმირებულ დავიდ რივასს, ფერნანდოსა და ნანოს ვერ ათამაშებენ, ხოლო მურსიელებს ოდენ ხუან ოჩოა დააკლდებათ.

**სლავა გასპაროვი**




ცხრა გოლი ბოლო ორ მატჩში: შეაჩერებენ „სევილიას" გალისიაში?

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | | 3:2 | 2:1 | | | 3:1 | 3:1 | | 0:1 | 7:0 | 4:3 | 2:0 | | 2:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | | | 25 | 18 | 2 | 5 | 54:21 | 56 | 11 | 0 | 1 | 33:10 | 33 | 7 | 2 | 4 | 21:11 | 23 |
| 2 | ბარსელონა | 0:1 | | | 3:0 | 2:1 | | 1:0 | 2:0 | | | | | 1:0 | 3:1 | 4:1 | 3:0 | 3:0 | 2:1 | 4:0 | 5:1 | 25 | 16 | 6 | 3 | 49:17 | 54 | 12 | 0 | 1 | 33:6 | 36 | 4 | 6 | 2 | 16:11 | 18 |
| 3 | ვილიარეალი | 0:5 | 3:1 | | | 3:2 | | 0:0 | 1:1 | 3:0 | | | 1:1 | | 1:0 | | 0:1 | 1:1 | 4:3 | 2:0 | 3:0 | 25 | 14 | 4 | 7 | 43:35 | 46 | 7 | 4 | 2 | 22:15 | 25 | 7 | 0 | 5 | 21:20 | 21 |
| 4 | ატლეტიკო | 0:2 | | 3:4 | | 4:3 | 1:2 | 4:0 | | 1:0 | 1:0 | 4:3 | 1:1 | 2:0 | 1:2 | 4:0 | | | | 1:1 | | 25 | 12 | 5 | 8 | 40:28 | 41 | 7 | 2 | 4 | 27:18 | 23 | 5 | 3 | 4 | 13:10 | 18 |
| 5 | სევილია | 2:0 | 1:1 | | | | 2:3 | 4:1 | | 3:0 | 4:1 | | 1:2 | 2:1 | | 5:0 | 3:0 | 4:1 | 0:1 | 3:1 | | 25 | 12 | 3 | 10 | 51:33 | 39 | 9 | 1 | 3 | 34:12 | 28 | 3 | 2 | 7 | 17:21 | 11 |
| 6 | ესპანიოლი | 2:1 | 1:1 | 3:0 | | 2:4 | | | | | 1:0 | 0:1 | | | 2:1 | | 1:2 | 1:2 | 1:0 | 0:0 | 1:0 | 25 | 11 | 6 | 8 | 35:32 | 39 | 6 | 2 | 4 | 15:12 | 20 | 5 | 4 | 4 | 20:20 | 19 |
| 7 | რასინგი | | 0:0 | 0:2 | 0:2 | | 1:1 | | 1:0 | 1:0 | 2:0 | 2:0 | 3:1 | | 1:0 | 2:2 | | | | | 1:0 | 25 | 10 | 8 | 7 | 24:25 | 38 | 7 | 3 | 2 | 14:8 | 24 | 3 | 5 | 5 | 10:17 | 14 |
| 8 | ალმერია | 2:0 | | | 0:0 | 1:0 | 1:0 | 0:1 | | 1:2 | 0:2 | 1:0 | 1:1 | 2:0 | | 0:1 | | | 1:0 | 1:0 | | 25 | 10 | 6 | 9 | 21:22 | 36 | 7 | 2 | 4 | 11:7 | 23 | 3 | 4 | 5 | 10:15 | 13 |
| 9 | ვალენსია | 1:5 | 0:3 | 0:3 | | | 1:2 | | 0:1 | | 2:1 | 2:1 | | | 0:3 | | 3:1 | 1:1 | | 3:0 | 0:0 | 25 | 10 | 5 | 10 | 28:35 | 35 | 4 | 2 | 6 | 13:21 | 14 | 6 | 3 | 4 | 15:14 | 21 |
| 10 | ხეტაფე | 0:1 | 2:0 | 1:3 | | 3:2 | 0:1 | | | 0:0 | | 0:3 | | | 2:0 | | | 1:1 | 0:0 | 2:0 | 2:1 | 25 | 9 | 5 | 11 | 29:32 | 32 | 5 | 3 | 4 | 13:12 | 18 | 4 | 2 | 7 | 16:20 | 14 |
| 11 | ვალიადოლიდი | 1:1 | 1:1 | 2:0 | | 0:0 | 2:1 | | | 0:2 | | | 1:1 | | 1:2 | | 0:0 | 3:1 | 2:2 | 1:4 | 1:0 | 25 | 8 | 7 | 10 | 32:42 | 31 | 4 | 6 | 3 | 15:15 | 18 | 4 | 1 | 7 | 17:27 | 13 |
| 12 | მალიორკა | | 0:2 | 0:1 | 1:0 | | 2:2 | | 0:0 | 0:2 | 4:2 | 4:2 | | | 0:0 | | 1:1 | | | 1:1 | 3:0 | 25 | 6 | 12 | 7 | 34:36 | 30 | 4 | 5 | 3 | 16:13 | 17 | 2 | 7 | 4 | 18:23 | 13 |
| 13 | ოსასუნა | | 0:0 | 3:2 | 3:1 | 1:1 | 1:2 | 0:2 | | 0:0 | 0:2 | 2:2 | 3:1 | | 2:0 | 1:0 | | | | | 4:1 | 25 | 8 | 5 | 12 | 28:31 | 29 | 6 | 4 | 3 | 20:14 | 22 | 2 | 1 | 9 | 8:17 | 7 |
| 14 | ბილბაო | 0:1 | 1:1 | 1:2 | 0:2 | 2:0 | | | 1:1 | | | | | 0:0 | | 1:1 | 0:0 | 2:0 | 2:2 | 1:1 | 1:0 | 25 | 7 | 8 | 10 | 23:26 | 29 | 3 | 7 | 3 | 12:11 | 16 | 4 | 1 | 7 | 11:15 | 13 |
| 15 | სარაგოსა | | 1:2 | 4:1 | | 2:0 | 3:3 | 1:1 | | 2:2 | 1:1 | 2:3 | 2:2 | 2:1 | 1:0 | | | | | 3:1 | 3:0 | 25 | 7 | 8 | 10 | 36:43 | 29 | 6 | 5 | 2 | 27:17 | 23 | 1 | 3 | 8 | 9:26 | 6 |
| 16 | ბეტისი | 2:1 | | | 0:2 | | 2:2 | 1:1 | 3:1 | 1:2 | 3:2 | | 3:0 | 0:3 | | 2:1 | | 1:1 | 0:1 | | | 25 | 7 | 8 | 10 | 27:36 | 29 | 5 | 3 | 4 | 18:17 | 18 | 2 | 5 | 6 | 9:19 | 11 |
| 17 | უელვა | | | | 0:0 | 1:2 | 2:1 | 0:0 | 1:1 | 0:1 | 1:3 | | 0:2 | 1:0 | | 2:1 | 1:1 | | 3:2 | | | 25 | 7 | 8 | 10 | 24:34 | 29 | 4 | 4 | 4 | 12:14 | 16 | 3 | 4 | 6 | 12:20 | 13 |
| 18 | დეპორტივო | | | | 0:3 | | 2:0 | 0:1 | 0:3 | 2:4 | 1:1 | 3:1 | 1:1 | 1:2 | | 1:1 | 1:0 | 0:2 | | | | 25 | 7 | 6 | 12 | 28:37 | 27 | 3 | 3 | 6 | 12:19 | 12 | 4 | 3 | 6 | 16:18 | 15 |
| 19 | მურსია | 1:1 | | 0:1 | 1:1 | | | 2:1 | 0:1 | | | 0:1 | | 2:0 | | 2:1 | 0:0 | 1:0 | 0:2 | | 2:3 | 25 | 5 | 8 | 12 | 20:34 | 23 | 4 | 3 | 5 | 11:12 | 15 | 1 | 5 | 7 | 9:22 | 8 |
| 20 | ლევანტე | 0:2 | 1:4 | | 0:1 | 0:2 | | 1:1 | 3:0 | | | | 2:2 | 2:1 | 1:2 | | 4:3 | 0:2 | 0:1 | 0:0 | | 25 | 4 | 4 | 17 | 20:47 | 16 | 3 | 3 | 7 | 14:21 | 12 | 1 | 1 | 10 | 6:26 | 4 |

# სარბიელი და კროკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ვესტ ჰემი-ჩელსი | 4.10 | 3.20 | 1.90 | 1.79 | 1.29 | 1.19 |
| 19:00 | 3 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.50 | 3.70 | 6.70 | 1.06 | 1.22 | 2.38 |
| 19:00 | 4 | ბირმინგემი-ტოტენჰემი | 3.70 | 3.30 | 1.95 | 1.74 | 1.27 | 1.22 |
| 19:00 | 6 | დერბი-სანდერლენდი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 8 | ფულემი-მანჩესტერი | 8.00 | 4.70 | 1.30 | 2.96 | 1.11 | 1.01 |
| 21:15 | 9 | სიტი-უიგანი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| 19:00 | 10 | მიდლსბრო-რედინგი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| 19:00 | 11 | ნიუკასლი-ბლეკბერნი | 2.55 | 3.20 | 2.60 | 1.41 | 1.28 | 1.43 |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 17:30 | 5 | ბოლტონი-ლივერპული | 4.70 | 3.60 | 1.70 | 2.03 | 1.24 | 1.15 |
| 20:00 | 7 | ევერტონი-პორტსმუთი | 1.85 | 3.30 | 4.10 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 12 | პრესტონი-კრისტალ პალასი | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 19:00 | 14 | სკანთორპი-ქოვენტრი | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| 19:00 | 15 | შეფილდი-ჩარლტონი | 2.40 | 3.20 | 2.70 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 19:00 | 16 | საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 17 | ბარნსლი-უენსდეი | 2.00 | 3.30 | 3.20 | 1.24 | 1.23 | 1.62 |
| 19:00 | 18 | ვესტ ბრომვიჩი-პლიმუთი | 1.75 | 3.30 | 4.40 | 1.14 | 1.25 | 1.88 |
| 19:00 | 19 | ბრისტოლი-ჰალი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| 19:00 | 20 | ბარნლი-უოტფორდი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:00 | 21 | კარდიფი-ლესტერი | 1.80 | 3.30 | 3.90 | 1.16 | 1.23 | 1.78 |
| 19:00 | 22 | კოლჩესტერი-ვოლვერჰემპტონი | 2.60 | 3.20 | 2.40 | 1.43 | 1.24 | 1.37 |
| 19:00 | 23 | ნორვიჩი-ბლეკპული | 1.80 | 3.30 | 4.10 | 1.16 | 1.25 | 1.82 |
| | | 2 მარტი | | | | | | |
| 17:15 | 13 | ქპრ-სტოკი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 28 | ნორთჰემპტონი-ქრიუ | 1.70 | 3.40 | 4.20 | 1.13 | 1.21 | 1.87 |
| 19:00 | 29 | პორტ ვეილი-ოლდემი | 2.90 | 3.30 | 2.20 | 1.54 | 1.25 | 1.32 |
| 18:00 | 30 | სუინდონი-ლიდსი | 2.50 | 3.20 | 2.60 | 1.40 | 1.27 | 1.43 |
| 19:00 | 31 | ბორნმუთი-ჰარტლეპული | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 32 | ტრანმერი-დონკასტერი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 33 | ბრაიტონი-ლეიტონი | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 19:00 | 34 | ჯილინგემი-იოვილი | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| 19:00 | 35 | ჰადერსფილდი-სუონსი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 19:00 | 36 | ლუტონი-უოლსოლი | 3.15 | 3.20 | 2.05 | 1.58 | 1.24 | 1.24 |
| 19:00 | 37 | მილუოლი-როვერსი | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | 3 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 38 | ნოტინგემი-კარლაილი | 1.85 | 3.30 | 3.90 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 45 | როჩდეილი-ჩესტერფილდი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 46 | როტერჰემი-აკრინგტონი | 1.60 | 3.60 | 5.00 | 1.10 | 1.21 | 2.09 |
| 19:00 | 47 | ბარნეტი-შრიუსბერი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 19:00 | 48 | რექსემი-მენსფილდი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 49 | ბრედფორდი-დაგ ენდ რედი | 1.90 | 3.30 | 3.70 | 1.20 | 1.25 | 1.74 |
| 19:00 | 50 | დარლინგტონი-ბრენტფორდი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 19:00 | 51 | ჰერეფორდი-სტოკპორტი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 52 | ლინკოლნი-უიკომბი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 53 | მაკლსფილდი-ნოტსი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 19:00 | 54 | დონსი-ჩესტერი | 1.50 | 3.60 | 6.40 | 1.05 | 1.21 | 2.30 |
| 19:00 | 55 | მორეკამბი-გრიმსბი | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 56 | პიტერბორო-ბერი | 1.45 | 3.70 | 6.70 | 1.04 | 1.19 | 2.38 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 17:00 | 57 | გრეისი-ტორკი | 3.50 | 3.30 | 1.95 | 1.69 | 1.25 | 1.22 |
| 19:00 | 58 | ბარტონი-ჰისტონი | 1.80 | 3.40 | 3.90 | 1.17 | 1.23 | 1.81 |
| 19:00 | 59 | სტივენიჯი-ფარსლი | 2.20 | 3.40 | 2.80 | 1.33 | 1.23 | 1.53 |
| 19:00 | 60 | ჰალიფაქსი-ვეიმუთი | 1.95 | 3.30 | 3.50 | 1.22 | 1.25 | 1.69 |
| 19:00 | 61 | სალისბერი-დროილსდენი | 1.30 | 4.70 | 8.40 | 1.01 | 1.12 | 3.01 |
| 19:00 | 62 | ექსეტერი-ალტრინჰემი | 1.40 | 4.00 | 7.40 | 1.03 | 1.17 | 2.59 |
| 19:00 | 63 | კემბრიჯი-იორკი | 1.75 | 3.50 | 4.10 | 1.16 | 1.22 | 1.88 |
| 19:00 | 64 | რაშდენ -უოკინგი | 2.05 | 3.30 | 3.20 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 65 | ნორთვიჩი-ებსფლითი | 3.10 | 3.30 | 2.10 | 1.59 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 66 | ფორესტ გრინი-ოქსფორდი | 1.95 | 3.30 | 3.40 | 1.22 | 1.23 | 1.67 |
| 19:00 | 67 | სტაფორდი-ქროული | 1.75 | 3.50 | 4.20 | 1.16 | 1.23 | 1.90 |
| 19:00 | 68 | ალდერშოტი-კიდერმინსტერი | 1.40 | 4.00 | 6.90 | 1.03 | 1.16 | 2.53 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 106 | ფოლკირკი-მაზერველი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 19:00 | 107 | გრეტნა-დანდი იუნაიტედი | 4.50 | 3.60 | 1.65 | 2.00 | 1.20 | 1.13 |
| 16:30 | 108 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 4.25 | 3.60 | 1.70 | 1.94 | 1.21 | 1.15 |
| 19:00 | 109 | ინვერნესი-ჰარტსი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| 19:00 | 110 | კილმარნოკი-სტ.მირენი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 19:00 | 111 | რეინჯერსი-აბერდინი | 1.20 | 5.50 | 10.90 | 1.00 | 1.08 | 3.65 |
| | | შოტლანდია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 1 მარტი | | | | | | |
| 19:00 | 112 | კლაიდი-პარტიკი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 19:00 | 113 | დანდი-სტ.ჯონსტონი | 2.00 | 3.40 | 3.10 | 1.25 | 1.21 | 1.62 |
| 19:00 | 114 | დანფერმლაინი-ლივინგსტონი | 1.90 | 3.40 | 3.40 | 1.21 | 1.21 | 1.70 |
| 19:00 | 115 | მორტონი-სტირლინგი | 1.85 | 3.50 | 3.50 | 1.21 | 1.21 | 1.75 |
| 19:00 | 116 | ქუინი-ჰამილტონი | 2.60 | 3.40 | 2.30 | 1.47 | 1.22 | 1.37 |
| 11137 | მიუნხენი 1860-ალემანია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11141 | კობლენცი-კარლ ცაისი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11142 | ოსნაბრუკი-ჰოფენჰაიმი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11143 | ოფენბახი-სტ.პაული | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11144 | ფრაიბურგი-მაინცი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11145 | პადერბორნი-კაიზერსლაუტერნი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11169 | რიდი-ალტახი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11170 | შტურმი-რაპიდი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11171 | მატერსბურგი-ავსტრია კერნტენი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11172 | ავსტრია-ლინცერი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11173 | ზალცბურგი-ტიროლი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11193 | ნაპოლი-ინტერი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11194 | მილანი-ლაციო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11195 | რეჯინა-პალერმო | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11197 | ემპოლი-სიენა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11198 | სამპდორია-ტორინო | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11199 | უდინეზე-ატალანტა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11200 | ლივორნო-კატანია | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11201 | იუვენტუსი-ფიორენტინა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11202 | კალიარი-ჯენოა | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11203 | სპეცია-პიაჩენცა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11204 | პიზა-ტრევიზო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11205 | მანტოვა-ტრიესტინა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11206 | ბარი-ალბინოლეფე | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11207 | აველინო-ასკოლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11208 | რავენა-ბრეშა | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11209 | ბოლონია-ჩეზენა | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11210 | რიმინი-ფროზინონე | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11211 | ვიჩენცა-გროსეტო | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11212 | კიევო-ლეჩე | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11213 | მესინა-მოდენა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11223 | ლევანტე-სარაგოსა | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11224 | ატლეტიკო-ბარსელონა | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11225 | ვილიარეალი-ოსასუნა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11226 | ალმერია-ბილბაო | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11227 | ვალიადოლიდი-რასინგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11228 | ბეტისი-მურსია | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11229 | ხეტაფე-მალიორკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11230 | უელვა-რეალი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11231 | ესპანიოლი-ვალენსია | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11232 | დეპორტივო-სევილია | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11233 | სპორტინგი-ნუმანსია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11234 | ჰერკულესი-სალამანკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11235 | ტენერიფე-ალავესი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11236 | გრანადა -კორდობა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11237 | კადისი-კასტელონი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11238 | სევილია ბ-ეიბარი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11239 | მალაგა -ეხიდო | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11240 | ტარაგონა-ლას პალმასი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11241 | სელტა-ელჩე | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11242 | სოსიედადი-ხერესი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11243 | ფეროლი-ალბასეტე | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11244 | მარსელი-ოსერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11245 | მეცი-კანი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11246 | ლიონი-ლილი | 4.60 | 10.00 | 20.00 | 5.30 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11247 | ლორიანი-ნანსი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11248 | სტ.ეტიენი-ნიცა | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11249 | ბორდო-პსჟ | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11250 | სოშო-რენი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11251 | ლე მანი-სტრასბური | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11252 | ლანსი-ტულუზი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11253 | მონაკო-ვალენსიენი | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11260 | ტრუა-ლე ავრი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11265 | ბეერსხოტი-სერკლი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11266 | ლოკერენი-მუსკრონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11267 | მეხელენი-ვარეგემი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11268 | მონსი-დენდერი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11269 | რუზელარე-გენტი | 4.40 | 10.00 | 20.00 | 5.00 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.50 |
| 11270 | ს.ტრუიდენი-ბრიუგე | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11271 | ვესტერლო-სტანდარდი | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11272 | ანდერლეხტი-გენკი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11284 | ბრედა-სპარტა | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11285 | ტვენტე-ჰერენვენი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11286 | გრააფსხაპი-ტილბურგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11287 | როდა-ალკმაარი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11288 | უტრეხტი-პსვ | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11289 | ფეიენოორდი-ნაიმეგენი | 1.65 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11290 | აიაქსი-ექსელსიორი | 1.45 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 14.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11291 | გრონინგენი-ჰერაკლესი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11296 | ეინდჰოვენი-ზვოლე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11302 | ლეიშოეში-აკადემიკა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11303 | მარიტიმუ-ამადორა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11304 | ნავალი-ნასიონალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11305 | ფერეირა-ბელენენსეში | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11307 | სპორტინგი-ბენფიკა | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11308 | ლეირია-სეტუბალი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11309 | ბოავიშტა-პორტუ | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11326 | კაისერი-დენიზლი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11327 | ანკარაგუჯუ-ფენერბაჩე | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11328 | ბეშიქთაში-გალათასარაი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11329 | ანკარა-გაზიანთეფი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11330 | კასიმპაშა-გენჩლერბირლიგი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11331 | რიზე-კონიასპორი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11333 | ბურსა-სივასპორი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ამათ რა დაამშვიდებთ?! ტეხასელები ისევ ომობენ

28 თებერვალი

**სან ანტონიო 97:94 დალასი**

**სან ანტონიო:** დანკანი (31 ქულა, 15 მოხსნა), ჯინობილი (17), ფინლი (16)
**დალასი:** ნოვიცკი (28), ჰოვარდი (16), ბარი (16), კიდი (7 ქულა, 10 პასი)

**ნიუ ჯერსი 120:106 მილუოკი**

**ნიუ ჯერსი:** ჰარისი (21), ჯეფერსონი (19), კარტერი (19), ბუნი (14)
**მილუოკი:** რედი (33), უილიამსი (24), ბოგუტი (22 ქულა, 15 მოხსნა)

**ლეიკერსი 106:88 მაიამი**

**ლეიკერსი:** ფარმარი (24), ბრაიანტი (21), ოდომი (13 ქულა, 11 მოხსნა, 6 პასი), გასოლი (13 ქულა, 11 მოხსნა, 4 დაფარება)
**მაიამი:** ვეიდი (18), დევისი (14), მერიონი (13 ქულა, 11 მოხსნა)

**ტეხასელ** ტიტანთა ჭიდილში დაუძინებელ მტრებს „დალასსა" და „სან ანტონიოს" ერთი სისხლი არ დაუღვრიათ, თორემ ერთმანეთს მართლაც ისეთი ომი გაუმართეს, ტეხასს კავბოების შემდეგ მხოლოდ ამ გუნდთა ჯახებში რომ ახსოვს. უდაბურლეს, თანაბარ რკენაში „სან ანტონიომ" ბოლო წამებზე მოიგო და წლევანდელ ურთიერთშეხვედრებში 2:1 დაწინაურდა.

მასპინძლებმა ერთქულიანი, სიმბოლური უპირატესობით შეაბიჯეს ბოლო მეოთხედში. იქ ოთხჯერ გათანაბრდა ანგარიში და ბოლოს ეს საფინალო სირენამდე ნახევარი წუთით ადრე მოხდა. 94:94 თანაბრობა „სპურზის" საუკეთესო მოთამაშე ტიმ დანკანმა წყვილი საჯარიმოთი გატეხა. ამას „დალასის" ლიდერ დირკ ნოვიცკისგან ორი უზუსტო სროლა მოჰყვა და მასპინძლებმა წერტილი ბრიუს ბოუენის საჯარიმოთი დასვეს.

გამარჯვებულთა თავკაცმა გრეგ პოპოვიჩმა მისთვის უჩვეულოდ უხვი ქება უწილადა დანკანს — ტონი პარკერი შარშანდელი ფინალის უძვირფასესი კია და მანუ ჯინობილი ფორმის პიკზე დგას, მაგრამ გუნდის ძრავა მაინც ტიმია, მასზე გადის ჩვენი ყველა გზა და ბილიკი შეტევაშიც და დაცვაშიცო.

მარცხით დიდად ნაწყენი ჩანდა „დალასის" თავკაცი აივერი ჯონსონი, რომელიც ოდესღაც „სან ანტონიოში" თამაშობდა და 1999 წელს იქ ჩემპიონიც გახდა — „ყოველთვის, როდესაც ამ ქალაქში ჩამოვდივართ, ერთმანეთს თავს ვაკლავთ. ჩვენ ძველი მეტოქეობა გვაქვს ერთმანეთში. შემდეგში რომ შევხდებით, დარწმუნებული ვარ, ჩვენ ერთით მეტ ქულას გავაკეთებთ, ვიდრე ისინი."

ეს მოგება „სან ანტონიოსთვის" ზედიზედ მეშვიდე იყო. „სფურზმა" დასავლეთის გაერთიანებულ ცხრილში მყარად მოიკიდა ფეხი მეორე ადგილზე და ახლა მხოლოდ „ლეიკერსს" ჩამორჩება, რომელიც პაუ გასოლის შემატების შემდეგ ქვას ქვაზე აღარ ტოვებს და ხუთშაბათს უსახურ „მაიამისთან" უიოლესი თამაშის შემდეგ 10-მდე დაამრგვალა გამარჯვებათა რიცხვი.

„დალასმა" კი ზედიზედ სამი მოგების შემდეგ პირველად წააგო, საზოგადოდ კი ეს მეორე მარცხი იყო იმ ხუთ შეხვედრაში, რომლებშიც მის შეტევებს ახალი გამთამაშებელი ჯეისონ კიდი უძღვებოდა. „სან ანტონიოსთანაც" კიდმა 10 პასი გააკეთა, მაგრამ...

ხუთშაბათს რიგიანად გაისარჯა დევინ ჰარისიც, რომელიც ორი კვირის წინ „დალასმა" კიდის სანაცვლოდ გადაასახლა „ნიუ ჯერსიში". ჰარისი რატომღაც ვერ ახერხებს ახალ გუნდში ხუთეულში დამკვიდრებას, მაგრამ ასეც რიგიანად ირჯება — „მილუოკისთან" მან 21 წუთში ამდენივე ქულა გააჩერხა.

**კოტე ყორშია**




ტიმ დანკანი

# კასელის ასკინკილა

**„კლიპერსმა"** გაუშვა ვეტერანი გამთამაშებელი სემ კასელი, რომელიც ახლა თავისუფალი აგენტია და იმ გუნდს შეუერთდება, რომელიც მოესურვება, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ გუნდიც ისურვებს მისი მომსახურებით სარგებლობას.

„კლიპერსს" და 38 წლის კასელს ორმხრივი ურთიერთპრეტენზიები ჰქონდათ. გუნდის შეფები მას უფრო მონდომებით თამაშისკენ მოუწოდებდნენ და როცა კასელი ვერ ირჯებოდა სათანადოდ, დაჩაჩანაკებულ და ჩამოსაწერ ვეტერანად ნათლავდნენ. კიდეც გაუშვეს შუა სეზონში, მიუხედავად იმისა, რომ ხეირიანი გამთამაშებელი არ ჰყავთ.

თავის მხრივ, კასელსაც ჰქონდა პრეტენზიები ხელმძღვანელობის მიმართ, შემადგენლობას ვერ აძლიერებთ და რა ჩემი ბრალია, რომ ვაგებთო.

საზოგადოდ, სემ კასელი უნიკალური მოთამაშეა. 15-წლიან კარიერაში მას შვიდ გუნდში აქვს ნათამაშები, ყველგან კარგად იწყებს და ცუდად ამთავრებს. 2000-01 წლების სეზონში საშუალო გაქანების „მილუოკი" აღმოსავლეთის ფინალში ათამაშა. მერე იმ გუნდიდან სკანდალურად წავიდა და „მინესოტაში" მისულმა პირველივე, 2003-04 წლების სეზონში ეს გუნდი პირველად გაიყვანა დასავლეთის ფინალში. 2005 წელს „კლიპერსში" მივიდა და ამ გუნდს ისტორიაში პირველად მოაგებინა საპლეიოფო სერია. როგორც ჩანს, კასელი ახალ გარემოში თავს კარგად გრძნობს, ერთი-ორი წლის შემდეგ კი ყველაფერი ყირჭდება და გული სხვა „მიწების ასათვისებლად" მიუწევს.

ამ მომთაბარე ვეტერანს ახლა „ბოსტონში" თამაში სურს, სადაც ლიდერად ზის „მინესოტაში" მისი თანაგუნდელი კევინ გარნეტი. კასელი უთუოდ გააძლიერებს ამ გუნდს, რომელსაც მწვერვალებისთვის შეუდგამს თვალი. თუ იქ იჩემპიონა, მერე შეუძლია იტრაბახოს, კარიერა ჩემპიონობით დავიწყე და დავასრულეო — 1994 წელს ის მთლად პირტიტველა ახალბედა იყო, „ჰიუსტონში" რომ მოიგო ნბა-ს ფინალი.

**კოტე ყორშია**

# მეზობელი ცხრილისა

**ევროვიზიის** შესარჩევი კონცერტ-კონკურსის გამო სპორტის სასახლეში კვირას გასამართმა ტურმა ერთი დღით, ორშაბათისთვის გადაიწია. სამი მატჩიდან მთავარი დაპირისპირება „ავიამშენსა" და „ვითას" შორის იქნება, რომლებიც ცხრილში მეზობლები არიან, და თუ მეოთხე წრეში წაუგებელმა ვითელებმა წარმატებათა ჯაჭვი გააგრძელეს, „ავიატორებს" დაეწევიან.

„ამ მატჩისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. „ავიამშენი" ერთი ქულით გვისწრებს და თუ დავამარცხებთ, ცხრილში გავუთანაბრდებით — თქვა გუშინდელ წინასამატჩო პრესკონფერენციაზე „ვითას" ასისტენტმა მწვრთნელმა თემურ აბულაძემ — მართალია, ტრავმირებულები გვყავს, მაგრამ ჩვენი გუნდი ამ წრეში ისეთი წარმატებით თამაშობს, რომ თუ მოვინდომებთ, „ავიამშენის" დამარცხებაც არ უნდა გაგვიჭირდეს. გრიპის გამო ვერ ვარჯიშობდნენ და ახლახან შემოგვიერთდნენ დავით ბერძენიშვილი და ბექა წივწივაძე, ასევე ტრავმა გუშინწინ მოირჩინა გიორგი მარკოიშვილმა და ფორმაში არაა".

წინასამატჩო განცხადება „ავიამშენის" ასისტენტმა მწვრთნელმა ვაჟა მხეიძემაც გააკეთა: „ეს თამაში თუ მოვიგეთ, ოთხეულში ადგილს, ფაქტობრივად, ვინარჩუნებთ და ამიტომაც ყველაფერს გავაკეთებთ მიზნის მისაღწევად. ჩვენ ამ ეტაპზე მხოლოდ პლეი ოფში გასვლის ამბიცია გვაქვს და „ვითას" დამარცხებაც ამისთვის გვჭირდება. ერთადერთი ტრავმირებული გვყავდა, ნოდარ ბერაია, რომელიც უკვე მწყობრშია და ზეგინდელ მატჩშიც დაგვეხმარება".

ამის გარდა ორშაბათს სპორტის სასახლეში ორი მატჩიც გაიმართება: „დინამო" „ენერჯი-ინვესტს" შეხვდება, „მაკაბი" — თსუ-ს.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 18 | 15 | 3 | 33 |
| თსუ | 18 | 11 | 7 | 29 |
| ავიამშენი | 18 | 9 | 9 | 27 |
| ვითა | 18 | 8 | 10 | 26 |
| დინამო | 18 | 7 | 11 | 25 |
| მაკაბი | 18 | 4 | 14 | 22 |

# ქვემო ქართლი გარდაბნისაა

**6-28 თებერვალს** ქვემო ქართლის მხარის კალათბურთის ფედერაციის ორგანიზებით, ამ რეგიონის თასის გათამაშება გაიმართა 16-წლამდე კალათბურთელებს შორის.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 4 რაიონის გუნდმა (ბოლნისი, რუსთავი, მარნეული, გარდაბანი). ფინალში გარდაბნის გუნდმა (მწვრთნელი ილია კეჭაყმაძე) 58:44 დაამარცხა მარნეული (მწვრთნელი ზაზა გაბისონია) და მოიპოვა ქვემო ქართლის თასი.

საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ ტურნირის ყველა მონაწილეს საჩუქრად გადასცა ბურთები. საქართველოს კალათბურთის ფედერაცია და სამხარეო კალათბურთის ფედერაცია ამზადებენ რამდენიმე პროექტს ამ რეგიონში კალათბურთის განვითარებისთვის.

## საქართველოს მეხუთე ახალგაზრდული ჩემპიონატი

**მეათე ტური**

**მაკაბი 81:74 სოხუმი**

**მეგა 65:68 თბილისი**

**ქუთაისი 75:78 დინამო**

**ნიკე 61:56 ნაკრები-1992**

**ენერჯი ინვესტი 74:73 მართვე**

**მდგომარეობა I წრის შემდეგ**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 9 | 8 | 1 | 17 |
| თბილისი | 9 | 8 | 1 | 17 |
| ენერჯი | 9 | 7 | 2 | 15(-1) |
| მართვე | 8 | 6 | 2 | 14 |
| მეგა | 9 | 5 | 4 | 14 |
| ნიკე | 9 | 4 | 5 | 13 |
| დინამო | 9 | 3 | 6 | 12 |
| ნაკრები-1992 | 8 | 2 | 6 | 10 |
| სოხუმი | 9 | 1 | 8 | 10 |
| ქუთაისი | 9 | 0 | 9 | 9 |

# ევროლიგა

Euroleague

მეორე ჯგუფური ეტაპი. მესამე ტური

### D ჯგუფი

**სიენა 84:75 პანათინაიკოსი**

**სიენა:** ტონტონი (23), მაკანტირი (13)
**პანათინაიკოსი:** ბატისტე (20), დიამანტიდისი (17)

**პარტიზანი 78:65 ეფესი**

**პარტიზანი:** პეკოვიჩი (20), პალაჩიო (14)
**ეფესი:** გრეგორი (19), პენი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სიენა | 3 | 3 | 0 | +29 | 6 |
| ეფესი | 3 | 1 | 2 | -6 | 4 |
| პარტიზანი | 3 | 1 | 2 | -6 | 4 |
| პანათინაიკოსი | 3 | 1 | 2 | -17 | 4 |

### E ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 95:91 ლიეტუვოს რიტასი**
ძირითადი დრო: 79:79

**ფენერბაჰჩე:** სოლომონი (27), კინსი (16)
**რიტასი:** ბაირამოვიჩი (22), ეიდსონი (20)

**არისი 69:87 ტაუ**

**არისი:** რაიტი (24), ბოისა (13 წუთი, 2 ქულა, 4 მოხსნა)
**ტაუ:** ვიდაო (16), სპლიტერი (16)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 3 | 3 | 0 | +40 | 6 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 2 | 1 | -7 | 5 |
| რიტასი | 3 | 1 | 2 | +8 | 4 |
| არისი | 3 | 0 | 3 | -41 | 3 |

### F ჯგუფი

**ოლიმპიაკოსი 86:84 ჟალგირისი**
ძირითადი დრო 72:72

**ოლიმპიაკოსი:** გრირი (22), ვუდსი (18)
**ჟალგირისი:** კოლინსი (19), ბრაუნი (16)

**მაკაბი 94:75 რეალი**

**მაკაბი:** ბინუმი (22), მორისი (16)
**რეალი:** რეიესი (16), ბალოკი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მაკაბი | 3 | 2 | 1 | +8 | 5 |
| რეალი | 3 | 2 | 1 | -6 | 5 |
| ჟალგირისი | 3 | 1 | 2 | +14 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 2 | -16 | 4 |

### G ჯგუფი

**უნიკახა 72:67 ცსკა**

**უნიკახა:** სანტიაგო (20), ჰაისლიპი (11)
**ცსკა:** შიშკაუსკასი (12), ლანგდონი (11)

**ბარსელონა 86:57 რომა**

**ბარსელონა:** ბაზელი (19), ლაკოვიჩი (17)
**რომა:** ჰოკინსი (18), ლორბეკი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | +14 | 5 |
| ცსკა | 3 | 2 | 1 | +13 | 5 |
| უნიკახა | 3 | 1 | 2 | -5 | 4 |
| რომა | 3 | 1 | 2 | -22 | 4 |

## ველორბოლა

# დუბაიდან ირანში

**საქართველოს** ველოსიპედისტთა ნაკრებმა დუბაის საერთაშორისო ტურნირში მიიღო მონაწილეობა. პირად ჩათვლაში საუკეთესო შედეგი გიორგი ნადირაძემ აჩვენა, რომელმაც სხვა სამ ველომრბოლთან ერთად, მეშვიდე-მეათე ადგილები გაიყო. მის გარდა, დუბაიში ნაკრების წევრები — არჩილ მახარაშვილი, ნოდარ ყვავაძე, კახაბერ ლოცაურაშვილი და სერგო მურჯიკნელი გამოდიოდნენ. დუბაის 5-დღიან შეჯიბრში 14 ქვეყანა მონაწილეობდა. ჩვენები კი მისი დამთავრების მერე პირდაპირ ირანში გაემგზავრნენ და იქ მრავალდღიან საერთაშორისო რბოლაში მიიღებენ მონაწილეობას.

**ლექსო მაისურაძე**

# ახლა დი ლუკას

## ჯიროს ჩემპიონს ორწლიანი ემუქრება



**2007 წლის** „ჯირო დიტალიას“ მომგებ დანილო დი ლუკას ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება. მიზეზი, არავის გაგიკვირდებათ და, დოპინგია, რომელმაც უკვე არა მხოლოდ სისხლი, არამედ ცხოვრებაც მოუწამლა ათეულობით ველომრბოლს. თუმც რომელია ჩავარდნილთაგან მართლაც წამლიანი და რომელი უბრალო, ამის აღქმის უნარი მართლა დაუჩლუნგდა ველოსამყაროს.

შარშანდელ ჯიროზე მე-17 ეტაპის შემდეგ აღებული სისხლის ანალიზი ამბობს, რომ მომავალი ჩემპიონი დი ლუკა აკრძალულ პრეპარატს იღებდა და თუ ეს საბოლოოდ დაუმტკიცდა, იტალიის ოლიმპიური კომიტეტი მას ორი წლით მოკვეთს აქტიური სპორტიდან.

დი ლუკა ახლა 32 წლისაა და ეს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ავტომატურად ხომ არ ნიშნავს მისი კარიერის დასასრულს? თავად მრბოლი, რომელიც, ჩანს, მტკიცე ნერვების პატრონია, მაგრად დგას და წარბშეუხრელი ამტკიცებს, უდანაშაულო და კრისტალივით სუფთა ვარ, სასამართლოში ჩემმა საქმემ აბსურდის სახე მიიღოო. ხოლო კითხვაზე, თუ ორი წლით აგიკრძალეს ტურნირებში გამოსვლა, კარიერას ხომ არ დაამთავრებთო, დი ლუკამ მტკიცედ მიუგო — „მე თვითონ გადავწყვეტ, როდის დავამთავრებ კარიერას. ველორბოლას მე ყველაფერი შევწირე, 8 წლიდან სხვა არაფერი მაინტერესებს და ვნება ჯერაც არ გამნელებია“.

**კოტე ყორშია**

## რაგბი

# სორელმა საპორტუგალიო ჩამოწერა



**დღეს** ერთა თასის მატჩში რუსეთის ნაკრები პორტუგალიის ეროვნულ გუნდს სახლში დაუხვდება და გამარჯვების მოპოვებას შეეცდება. „დათვები“, წარმატების შემთხვევაში, გათამაშების ლიდერ საქართველოსთან ჩამორჩენას სამ ქულამდე შეამცირებენ. რუსებს ჩვენზე ერთი შეხვედრით ნაკლები აქვთ ჩატარებული და ტურნირის მოგების კარგი შანსი აქვთ. რუსთა ფრანგმა თავკაცმა, საქართველოს ნაკრების ძველმა დამრიგებელმა კლოდ სორელმა გუნდი ამ მატჩისთვის საგანგებოდ მოამზადა და შემადგენლობაც დაასახელა:

ხროკინი, მარჩენკო, პრიშჩეპანკო, ოსტრიკოვი, ფედჩენკო, კ. კუშნარიოვი, გრესევი, კორშუნოვი, მოტორინი, ი. კუშნარიოვი, გვოზდოვსკი, გალინოვსკი, ბაბაევი, კუზინი, კლიუჩნიკოვი.

სათადარიგონი: ბოტვინიკოვი, ჩერნიშოვი, ხვოროსტიანოი, გარბუზოვი, იანუშკინი, კორობეინიკოვი, ტრიშინი.

**ზურაბ მიგრიაული**

# ექვსი და სამი ერთი იქნება

**კვირას** ჰონკონგში ირბ-ის წარმომადგენლებისა და ოთხი წამყვანი სარაგბო ქვეყნის (საფრანგეთი, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, ავსტრალია) რაგბის კავშირების ჩინოვნიკთა შეხვედრა გაიმართება, სადაც ჩრდილოურ ექვს და სამხრეთულ სამ ერებზე გამარჯვებულთა ერთჯერადად გასამართი ჯახის საორგანიზაციო დეტალები განიხილება.

შეხვედრაზე ირბ-ის ამ ორგანიზაციის თავმჯდომარე ბერნარდ ლაპასი და მისი მოადგილე ბილ ბეამონტი წარმოადგენენ.

ყოველივე ამის შესახებ, ჟურნალისტებმა აზრი ჰკითხეს ინგლისის ნაკრების ყოფილ მორაგბეს, ბრაიან მურს, რომელმაც შეშფოთებით აღნიშნა, რომ მიუხედავად ასეთი დონის მატჩისა, შეიძლება, მან რაგბის განვითარებას ხელი შეუშალოს.

„დარწმუნებული ვარ ეს შეხვედრა დიდ ფულს მოიტანს, მაგრამ ვერ ვხვდები, რა სიკეთის მოტანა შეუძლია, ზოგადად, რაგბისთვის. ეს ხომ მხოლოდ ერთჯერადი ჯახი იქნება და მსოფლიოს თასის დამახინჯებულ ვარიანტად ჩაითვლება. შეიძლება, ამ თამაშმა სხვა საერთაშორისო შეხვედრების გაუფერულება გამოიწვიოს, რომ აღარაფერი ვთქვათ მორაგბეთა ზედმეტ დატვირთვაზე“ — განაცხადა მურმა.

**ზურაბ მიგრიაული**

## ჭიდაობა

# უნგრეთში რუსეთს ვერ ვაჯობეთ

**უნგრეთის** ქალაქ სომბათჰეიში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა შორის მიმდინარე მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა პირველ ჯგუფში რუსეთთან 2:5 წააგო, მერე კორეის ნაკრებს დაძაბულ დაპირისპირებაში 4:3 მოუგო და ბრინჯაოს მედლისთვის მეორე ჯგუფის მეორეადგილოსან ირანთან გაარკვევს ურთიერთობას.

მეზობელ რუსეთთან თავისი ორთაბრძოლები მსოფლიოს ჩემპიონმა დავით ბედინაძემ (60კგ) და შმაგი სახლთხუციშვილმა მოიგეს (74კგ). ჯგუფის მეორე მეტოქე კორეასთან ანგარიში 3:3 იყო და გადამწყვეტი შეხვედრა გურამ ფერსელაძესა (120კგ) და ჰუინ-ჰი ჰონგს შორის შედგა. ახალგაზრდა ქართველმა მძიმე ტვირთს გაუძლო და კორეელი 9:0, 5:0 დაჩაგრა.

მეორე ჯგუფში საუკეთესო მასპინძელი უნგრეთი იყო, მათ აშშ-ს და ირანს ერთნაირი ანგარიშით, 4:3 აჯობეს და ფინალში რუსეთს შეხვდებიან.

გუნდური ტურნირის დამთავრებისთანავე სომბათჰეიში პირადი პირველობა გაიმართება.

**ლექსო მაისურაძე**

## ჭადრაკი

### მორელია-ლინარესის სუპერტურნირი

მორელია-ლინარესი. მექსიკა-ესპანეთი. 15 თებერვალი — 7 მარტი

VIII ტური

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 1:0 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) |
| თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) | 0:1 | მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) |



# ანანდმა ლინარესში გაათეთრა

**ხუთდღიანი** შესვენების შემდეგ, სუპერტურნირის მეორე წრე ლინარესში განახლდა.

მსოფლიოს ჩემპიონმა ვიშვანათან ანანდმა მეოთხე პარტია მოიგო და უახლოეს მდევრებს ქულით გაუსწრო. წინა სამი მოგება ინდუსმა შავი ფიგურებით გააზერხა, ამჯერად კი თეთრებით იმარჯვა და ყველას დაანახა, ორივე ფერით მაგარი ვარო.

ანანდმა და შიროვმა დებიუტში სიცილიური დაცვა გაითამაშეს, თითო პაიკი გაცვალეს და ცენტრში მსუბუქი ფიგურები გამოუშვეს. ინდოელმა მარცხენა მხრიდან იერიში წამოიწყო, კუ-ეტლის დუეტი წინა ხაზზე დააყენა და მცირე უპირატესობას დაეუფლა. შიროვმა ხელმწიფის ფლანგი განავითარა, ლაზიერით მეტოქის წყობა მიანგრია და ეტლებით შეუტია. ანანდმა შავების აგრესია შეაჩერა, მეტოქეს ერთი-ორი ღონივრად შეუტია და b ზოლზე პაიკის გაყვანა დაიწყო. შიროვმა ეულად დარჩენილი ეტლი მოიერიშე პაიკთან გაუშვა, თუმც მანევრებში ვერ აჯობა და 37-ე სვლაზე დანებება არჩია.

ესპანური ჰავა კარგად მოუხდა 17 წლის მაგნუს კარლსენს. ნორვეგიელმა შავი ფიგურებით ვასილ ივანჩუკი დააშამათა და ცხრილში ანანდის უკან მოკალათდა.

მესამე პარტია წააგო ვესელინ ტოპალოვმა. ამჯერად ბულგარელმა ქულა ლევონ არონიანს დაუთმო და მეოთხე ადგილზე ჩავიდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ვიშვანათან ანანდი | 5,5 |
| 2. | ლევონ არონიანი | 4,5 |
| 3. | მაგნუს კარლსენი | 4,5 |
| 4. | ვესელინ ტოპალოვი | 4 |
| 5. | ალექსეი შიროვი | 4 |
| 6. | თეიმურ რაჯაბოვი | 3,5 |
| 7. | ვასილ ივანჩუკი | 3 |
| 8. | პეტერ ლეკო | 3 |

## ჰოკეი

### რეგულარული ჩემპიონატი

28 თებერვალი

**ფილადელფია 3:1 ოტავა**

*0:0 1:1 2:0*

0:1 სპეცა (27), 1:1 დაუდი (34), 2:1 კნუბლი (41), 3:1 კნუბლი (47)

**ბოსტონი 5:1 პიტსბურგი**

*2:0 2:0 1:1*

1:0 შტურმი (10), 2:0 შტურმი (13), 3:0 ხარა (23), 4:0 აქსელსონი (37), 4:1 დიუპუი (54), 5:1 კრეიჩი (58)

**კაროლინა 2:4 რეინჯერსი**

*0:2 1:1 1:1*

0:1 დუბინსკი (4), 0:2 ეივრი (20), 0:3 დრური (23), 1:3 კოული (28), 2:3 კოული (45), 2:4 შენაჰენი (48)

**ატლანტა 4:5 აილენდერსი**

*0:2 3:1 1:1 0:1 (ოვერტაიმში)*

0:1 კომრი (10), 0:2 ვასიჩეკი (12), 0:3 ჟილბერტი (22), 1:3 პერენი (24), 2:3 კლი (34), 3:3 ჟიტნიკი (35), 3:4 კომრი (44), 4:4 ჰოლიკი (59), 4:5 ჰანტერი (62)

**სენტ ლუისი 1:2 ფინიქსი**

*1:2 0:0 0:0*

1:0 ჯონსონი (16), 1:1 ჯოვანოვსკი (18), 1:2 კაპანენი (19)

**დალასი 7:4 ჩიკაგო**

*2:1 3:0 2:3*

0:1 ბაიფულემი (5), 1:1 ჰაგმანი (5), 2:1 მოდანო (10), 3:1 ჰაგმანი (23), 4:1 ერიკსონი (25), 5:1 დეილი (27), 5:2 ბურკი (45), 6:2 ჰაგმანი (46), 6:3 ლედი (50), 7:3 ლეჰტინენი (57), 5:4 ბურკი (59)

**ედმონტონი 5:4 ლოს ანჯელესი**

*1:1 4:2 0:1*

1:0 კოლიანო (1), 1:1 კოპიტარი (20), 1:2 ოსალივანი (25), 2:2 ჰენსკი (29), 3:2 ნილსონი (30), 3:3 ბრაუნი (30), 4:3 ჰემსკი (37), 5:3 პიზანი (38), 5:4 ბრაუნი (52)



ტამპადან დალასში გადასულმა ბრედ რიჩარდსმა ახალი გუნდის სახელით პირველივე მატჩში 5 საგოლე პასი გააკეთა

# დუბაიში ენინი დაში(ავო)ნდა

**კაცები**
**აკაპულკო მექსიკა. თიხა**
**საპრიზო 794 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

დავიდ ნალბანდიანი (1, არგენტინა) — პოტიტო სტარაჩე (8, იტალია) 6:3 6:3; ნიკოლას ალმაგრო (6, ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 4:6 6:3 6:3; ლუის ჰორნა (პერუ) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:4 3:6 6:3; ხოსე აკასუსო (არგენტინა) — მარსელ გრანოლერს-პუიოლი (ესპანეთი) 7:6 6:3

**კაცები**
**ზაგრები. ხორვატია. ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 370 000 ევრო**

**მეოთხედფინალი**

ივან ლიუბიჩიჩი (1, ხორვატია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 6:2 6:7 6:3; სერგეი სტახოვსკი (უკრაინა) — იანკო ტიპსარევიჩი (8, სერბეთი) 3:6 6:4 6:2; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — რობინ ჰააზე (ჰოლანდია) 6:3 3:6 6:3; სიმონე ბოლელი (იტალია) — ოლივიე როხუსი (ბელგია) 7:6 6:4

**კაცები**
**მემფისი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 769 000 დოლარი**

**მეორე წრე**

ენდი როდიკი (1, აშშ) — მარდი ფიში (აშშ) 6:4 6:2; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — სემ ქუერეი (5, აშშ) 6:4 4:6 7:6; კრის გუჩიონე (ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) 6:3 6:4; რობინ სოდერლინგი (8, შვედეთი) — ვიქტორ ჰანესკუ (რუმინეთი) 6:2 6:1; დონალდ იუნგი (აშშ) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 6:1 1:6 6:3

**ქალები**
**აკაპულკო. მექსიკა. თიხა**
**საპრიზო 180 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

ფლავია პენეტა (1, იტალია) — ედინა გალოვიცი (8, რუმინეთი) 7:6 6:1; ალიზე კორნე (2, საფრანგეთი) — მარია კორიცევა (უკრაინა) 6:4 6:0; კაია კანეპი (7, ესტონეთი) — სორანა კირსტეა (რუმინეთი) 6:2 4:6 7:6; ჯილ კრეიბასი (აშშ) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:4 6:1

**ქალები**
**დუბაი. საემიროები. ჰარდი**
**საპრიზო 1 500 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

ფრანჩესკა შიავონე (იტალია) — ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) 7:6 7:6; სვეტლანა კუზნეცოვა (2, რუსეთი) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:1 7:6; ელენა დემენტიევა (8, რუსეთი) — ანა ივანოვიჩი (3, სერბეთი) 5:7 6:3 6:3; ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) — ანა ჩაკვეტაძე (6, რუსეთი) 6:1 უარი

**ქალები**
**მემფისი. აშშ. ჰარდი**
**საპრიზო 175 000 დოლარი**

**მეოთხედფინალი**

შაჰარ პირი (3, ისრაელი) — სოფია არვიდსონი (7, შვედეთი) 3:6 6:1 6:3; ლინდსი დევენპორტი (4, აშშ) — კაროლინა ვოზნიაკი (6, დანია) 6:0 6:2; ოლგა გოვორცოვა (5, ბელარუსი) — ჯულია ჯორჯესი (აშშ) 7:6 6:2; მარინა ერაკოვიჩი (ახ. ზელანდია) — ალა კუდრიავცევა (რუსეთი) 4:6 6:3 6:3



ფრანჩესკა შიავონე

**ახლა** კი დანამდვილებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ წლევანდელი ჟუსტინ ენინი ისე განსხვავდება შარშანდელისგან, როგორც ცა და დედამიწა. ჭინკა ბელგიელი, რომელიც გასულ სეზონში ფანტასტიკურად გამოიყურებოდა და რომელსაც ლამის ქალთა ფედერერს ეძახდნენ, ოდნავადაც არ ჰგავს საკუთარ თავს და ძალიან მძიმედ თამაშობს. ეს ავსტრალიის ღია პირველობაზეც ეტყობოდა და თუნდაც ანტვერპენში, მიუხედავად იმისა, რომ იქ იმარჯვა — ენინი თავისთვის უჩვეულოდ ბევრ შეცდომას უშვებდა და ამიტომაც ყველა რანგისა და დონის მეჩოგნესთან მაგრად წვალობდა. ეგრე იყო დუბაიშიც, როცა ჟუსტინმა ორ საათზე მეტი შეალია კატარინა სრებოტნიკს. თუმც თუ სლოვენიელთან გადარჩა, ფრანჩესკა შიავონესთან ველარაფერს გამორჩა, რომელმაც გვარიანი სენსაცია გამოაცხო და ბელგიელი ორ სეტში წააქცია.

ენინი ისევ და ისევ შეცდომებმა დაღუპა — ის განსაკუთრებით ამაზრზენად მიღებაზე თამაშობდა და ამიტომ პირველ სეტში მხოლოდ ერთი ბრეიკპოინტი ჰქონდა, რომელიც ვერ გამოიყენა. საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა, სადაც შიავონე ნაკლებს სცოდავდა და იტალიელი დაწინაურდა. მეორე პარტია აპენინელმა კიდევ უფრო უკეთესად დაიწყო და 5:2 წინ გავიდა, მაგრამ როგორც ჟუსტინს ხშირად გაუკეთებია, სწორედ ასეთ მომენტში მოუმატა. საქმე კვლავ საჩოგბურთო ლატარიამდე მივიდა, სადაც ბელგიელს წესით აშკარა ფსიქოლოგიური უპირატესობა უნდა ჰქონოდა — ნურას უკაცრავად, შიავონემ ისევ მეტი ცივსისხლიანობა გამოიჩინა და ნახევარფინალის საგზურიც გაინაღდა, თანაც ენინს დუბაიში პირველი კარიერული მარცხი აგემა.

„ჟუსტინთან ყველა ქულაზე ისე უნდა ითამაშო, თითქოს მატჩ-პოინტი იყოს, თორემ ოდნავ მოდუნდები და დაისჯები კიდეც. დღეს მეც ზღვარზე გავიარე, როცა მეორე სეტში დიდი უპირატესობა გავანიავე. ამიტომაც ტაიბრეიკზე ჩემ თავს ვუთხარი — ან ახლა შენსას გაიტან, ანაც წადი, ჩემოდნები ჩაალაგე-მეთქი. ჰოდა, ეს განწყობა კონცენტრაციაში დამეხმარა“ — თქვა ნამატჩევს შიავონემ.

დუბაიში მოულოდნელობები ამით არ დამთავრებულა — მსოფლიოს პირველი ჩოგნის კვალად წააგო მისმა უახლესმა მდევარმა ანა ივანოვიჩმა, რომელიც ელენა დემენტიევამ ძალიან დაძაბულ და ლამაზ შეხვდრაში დააჩოქა. რუსი არ შეუშინდა პირველი სეტის წაგებას და არც იმას, რომ მეორეშიც უკან იყო და სერბი ლამაზმანი უკანა ხაზიდან წარმოებული ეფექტური კომბინაციებით დაჯაბნა.

ფინალი კი შეიძლება წმინდა რუსული გამოდგეს, რადგანაც მეორე ნახევარფინალში სვეტლანა კუზნეცოვა ელენა იანკოვიჩს დაეტაკება.

მემფისში საინტერესო ჯახს ელოდნენ ვეტერან ლინდსი დევენპორტსა და დანიელ ამომავალ ვარსკვლავ კაროლინ ვოზნიაკის შეხვედრისგან. მაგრამ აქ გამოცდილებამ ადვილად დაჯაბნა ახალგაზრდული თავქარიანობა და ამერიკელმა თავის თინეიჯერ მეტოქეს მხოლოდ ორი გეიმი აალებინა. სამაგიეროდ, ნამდვილი ჯახი გაიმართა შაჰარ პირსა და სოფია არვიდსონს შორის, სადაც ებრაელმა სეტიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა და ასე გაინაღდა ნახევარფინალის საგზური.

კაცთა ტურნირებიდან კი ისევ ზაგრებული სიახლებიით დავიწყებთ, სადაც ადგილობრივთა გასახარად წინ მიიწევენ ივან ლიუბიჩიჩი და მარიო ანჩიჩი. თუმც ისინი ერთმანეთს ახლა ნახევარფინალში დაეტაკებიან — იქამდე მისაღწევად კი ორივეს გვარიანი ოფლის ღვრა მოუწია. ლიუბიჩიჩმა თეიმურაზ გაბაშვილი მხოლოდ ორსაათიანი წვალების შემდეგ გატეხა. თითქმის ამდენივე მონდომა ანჩიჩმა რობინ ჰააზეს წაქცევას.

ტურნირის მთავარ მოულოდნელობად უკრაინელი სერგეი სტახოვსკი რჩება, რომელმაც გუშინ იანკო ტიპსარევიჩიც არ დაინდო. უკრაინელამდე ბოლო ლაქი-ლუზერი (ანუ ჩოგბურთელი, რომელსაც ტურნირზე არ უნდა ეთამაშა, მაგრამ სხვა მეჩოგნის უარის გამო მიიწვიეს), რომელმაც ATP-ის ტურნირის ნახევარფინალში გასვლა შეძლო, ესპანელი ივან ნავარო პასტორი იყო, რომელმაც ეს შარშან მოახერხა ვალენსიაში.

ერთადერთი განთესილიდა შემორჩა აკაპულკოში დავიდ ნალბანდიანის სახით — არგენტინელი მართლაც მშვენიერ ფორმაშია და რამდენიმე დღის წინ ბუენოს აირესის ტურნირის მოგების შემდეგ ზედიზედ მეორე ტიტულს უმიზნებს.

**კახა ლომაშვილი**



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი



# მარკა ჩმახავს
## რონ დენისი ხელშეუხებელია

**როგორც** „მაკლარენის“, ისე მისი პარტნიორისა და ძრავების მომწოდებელი „მერსედეს-ბენცის“ წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ესპანურ გაზეთ „მარკას“ ინფორმაცია იმის თაობაზე, თითქოს რონ დენისი გადაყენებულია „მაკლარენ-მერსედესის“ ხელმძღვანელი პოსტიდან, სრული მონაჩმახია და სინამდვილეს არ შეესაბამება.

„მსგავსი შინაარსის განცხადებები სპეკულაციას წარმოადგენს. გუნდში არსებული სტატუს-კვო შენარჩუნებული იქნება და ხელმძღვანელ პირთა შორის არანაირი გადაადგილება არ მოხდება“ — ბრძანა „მერსედესის“ წარმომადგენელმა გერმანულ ტელეკომპანია RTL-თან ინტერვიუში.

მარტინ უიტმარშმა, „მაკლარენის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, ვისაც „მარკას“ ვერსიით დენისის ადგილი უნდა დაეკავებინა, განაცხადა: „ამ ჭორებს რეალობასთან არავითარი საერთო არა აქვთ. ისინი, ვინც დენისის შესაძლო გადაყენებაზე საუბრობენ, უბრალოდ, ვერ ერკვევიან „მაკლარენის“ სტრუქტურებში. რონი აქციონერთა, გუნდის ხელმძღვანელ პირთა და რიგით თანამშრომელთა სრული მხარდაჭერით სარგებლობს. ამ წუთისთვის ის სამ პოსტს ითავსებს — არის კომპანიათა ჯგუფის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, კომპანიათა ჯგუფის აღმასრულებელი დირექტორი და „მაკლარენის“ საპირველფორმულო გუნდის ხელმძღვანელი. აქედან გამომდინარე, თავად დენისი თუ გადაწყვეტს გუნდიდან წასვლას, თორემ სხვა მხრივ ის ხელშეუხებელი პერსონაა“.

„მაკლარენისა“ და „მერსედესის“ წარმომადგენლებს კვერი ფორმულა 1-ის ბოსმა ბერნი ეკლსტოუნმაც დაუკრა. „ის დაქირავებული მუშაკი არ არის. ის გუნდის თანამფლობელია და სხვა თანამფლობელთა მხარდაჭერით სარგებლობს“ — განუცხადა ეკლსტოუნმა ინგლისურ „მირორს“.

შეგახსენებთ, რომ რონ დენისი მთელი 30 წელია, რაც „მაკლარენის“ თავკაცია და „მარკას“ ჭორები კი იმას ეფუძნებოდა, აქაოდა, „მაკლარენი“ შარშან „საჯაშუშო სკანდალში“ რომ გაეხვია და შემდეგ უტიტულოდ დარჩა, გუნდში ორმოცპროცენტიანი წილის მქონე „მერსედესმა“ ეს ვერ მოინელა და ამიტომაც გადაწყვიტა მისი შეცვლაო.

**კახა ლომაძე**



**მსოფლიოს თასი. პიონჩანგი. კორეა. 27 თებერვალი-2 მარტი**

**კაცები**

**გამოდევნება. 12, 5 კმ ოთხი სასროლეთით**

| | |
|---|---|
| 1. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 32 წთ 49,56 წმ (3 აცდენა) |
| 2. ჰალვარდ ჰანევოლდი (ნორვეგია) | +12,4 წმ (3) |
| 3. ალექსანდრ ოსი (ნორვეგია) | +17,0 (4) |
| 4. მიხაელ რიოში (გერმანია) | +32,4 (1) |
| 5. ფრიდრიხ პინტერი (ავსტრია) | +35,7 (4) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ოლე ეინარ ბიორნდალენი (ნორვეგია) | 735 ქულა |
| 2. დმიტრი იაროშენკო (რუსეთი) | 589 |
| 3. მაქსიმ ჩუდოვი (რუსეთი) | 541 |
| 4. ემილ ჰეგლე სვენდსენი (ნორვეგია) | 495 |
| 5. მიხაელ გრაისი (გერმანია) | 486 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge